პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი, № 190 (12104) | კვირა, 20 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას!

განათლების სიკეთის დიდი მკა

თესლი ნიადაგში ღივდება, ნიადაგზე აღმოცენდება, მცენარედ ქცეულს ნიადაგი კვებავს და ნიადაგი აცოცხლებს, ნიადაგია მისი სიცოცხლის წყარო. ხოლო ნიადაგი სიცოცხლისუნარიანობას და ცხოველმყოფელობას ისევ თავისივე ძუძუთი გამოკვებილი მცენარიდან იღებს. არ არის მცენარის სიცოცხლე უნიადაგოდ, ნიადაგისა — უმცენაროდ.

დაახლოებით ასეთ ურთიერთკავშირში წარმოგვიდგება საბჭოთა საზოგადოება და მასზე აღმოცენებული კომუნისტური შეგნება მასებისა, ფორმირება სოციალიზმის აქტიური მშენებლებისა.

საბჭოთა საზოგადოება ის მაღალნოყიერი ნიადაგია, რომელშიც ღივდება თესლი და რომელზეც აღმოცენდება, იზრდება და მაღლდება მცენარე მასების კომუნისტური შეგნებისა.

ხოლო „რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ იშლება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმების და ადამიანთა ახალი ურთიერთობის განვითარებაში, და მაშასადამე, მით უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები“ (სკკპ პროგრამის პროექტიდან).

ისევე როგორც ნიადაგში თესლის გაღივებით იწყება მცენარის წარმოშობა, საბჭოთა საზოგადოებაშიც ბავშვობის ასაკიდან იწყება კომუნიზმის მომავალი აქტიური მშენებლის ფორმირების რთული პროცესი.

ამიტომაც ჩაწერილია პარტიის პროგრამის პროექტში „პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდთა თაობის აღზრდას“.

იმის ღრმა შეგნება, რომ მოზარდი თაობის აღზრდა ჩვენს ქვეყანაში უშუალოდ და პირდაპირ დაკისრებული აქვს საბჭოთა სკოლას, პარტიის დავალების შესასრულებლად რაზმავს და აღაფრთოვანებს განათლების მუშაკთა არმიას. პროგრამის პროექტის განხილვა უნდა რაზმავდეს საქართველოს მშრომელებს ამჟამად გაჩაღებული ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ტემპისა და ხარისხის ასამაღლებლად, კერძოდ, სასკოლო მშენებლობაში ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის. პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებში ერთ-ერთი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო მშენებლობის, სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნის, აღზრდის, სწავლისა და შრომის შეერთების, მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნების ამაღლების, ახალი ვითარებისა და ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისად უმაღლესი სკოლის მუშაობის, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის, მომავალ კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების საკითხებს. პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში მოურიდებლად უნდა ვლინდებოდეს არსებული ნაკლოვანებანი და ისახებოდეს კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების იმ დონეზე დაყენებისათვის, როგორც გვიკარნახებს კანონი სკოლისა და ცხოვრების კავშირის შესახებ და პარტიის პროგრამის პროექტი.

პარტიულ ორგანიზაციებს, სახალხო განათლების დარგის მუშაკებს უდიდეს მოთხოვნას უყენებს იმის ღრმა შეგნება, რომ ლენინსა და პარტიას არასოდეს, ქვეყნის ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამსაც, არ მოუკლიათ ზრუნვა საბჭოთა სკოლისათვის და, მაშასადამე, მოზარდი თაობის აღზრდისათვის. სკოლისათვის, სახალხო განათლებისათვის შეუნელებელი ზრუნვის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილე. მან ხომ სახალხო განათლების დონის მხრივ გაუსწრო ყველაზე დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი. სახალხო ინტელიგენციის მძლავრი რაზმი რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 300 ათასზე მეტ კაცს ითვლის. მთელს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში მოზარდი თაობის აღზრდის, სახალხო განათლების განვითარებისათვის ზრუნვის გამოხატვის მხრივაც სკკპ ახალი პროგრამის პროექტი არათუ მთლიანად ინარჩუნებს ჩვენი პარტიის წინანდელი პროგრამის მემკვიდრეობითობას, არამედ გაბედული რევოლუციური აზროვნებით და ფასდაუდებელი რევოლუციური პრაქტიკის ნაყოფითაც ავითარებს და წინ სწევს მას.

როგორც მთელი პროექტი პროგრამისა, ისე, კერძოდ, მისი V თავი — პარტიის ამოცანები იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში — ღრმა, ყოველმხრივი მარქსისტული ანალიზია თანამედროვე ეპოქისა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდი თაობის აღზრდას, — პროგრამის პროექტში ჩაწერილი ეს ბრძნული დებულება ნაკარნახევია დღევანდელი ცხოვრებით და ხვალის იდეალებით, რადგან:

„კომუნიზმზე გადასვლა გულისხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განვითარებული ადამიანების აღზრდას და მომზადებას, რომლებსაც უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში“. სწორედ ამ ხვალის იდეალებით არის ნაკარნახევი პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით მიღებული კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მუშაობის მაგალითითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა გრანდიოზული ძვრები მოხდა კანონის მიღების შემდეგ განვლილ მოკლე დროში კომუნიზმის მომავალი მშენებლების აღზრდის დარგში. საქართველოში საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილია 451 საშუალო სკოლა 16.003 მოსწავლით. სულ უფრო ორგანიზებული ხდება მოსწავლეთა საწარმოო სწავლება. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

პროგრამის პროექტის მიხედვით პარტიის მიერ განათლებისა და აღზრდის დარგში დასახულია ძირითადად საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის, მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის პირობების შექმნის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გაფართოება-განვითარების ამოცანები.

პარტიის მიერ პროგრამის პროექტის მიხედვით განათლებისა და აღზრდის დარგში დასახული ამოცანების განხორციელება უზრუნველყოფს:

სახალხო განათლების სისტემის ისე მოწყობას, რომ მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, ნაყოფიერ შრომასთან.

მოზრდილ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნეს წარმოების სფეროში მუშაობის შეხამებისა, სწავლისა და განათლების განგრძობასთან პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად;

იმას, რომ სახალხო განათლების არსებულმა სისტემამ ხელი შეუწყოს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა ფორმირებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრას.

ყოველივე ეს სავსებით განხორციელდება. და დღეს საბჭოთა საზოგადოებაში — ამ დიდად ნოყიერ ნიადაგში — ჩათესილი თესლი სოციალისტური შეგნებისა, ცოდნისა და განათლებისა გაღივდება, აღმოცენდება, განვითარდება, თავთავებს დაიყრის, და იქნება სახალხო განათლების ყველა სიკეთის დიდი მკა, რომელსაც გასწევს კომუნისტური საზოგადოება. მის დროშას ხომ აწერია: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!

შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

ქუთაისი. (საკ. კორ.). აგურის მექანიზებულმა ქარხანამ მტკიცედ დაიმკვიდრა საშენი მასალების მოწინავე საწარმოს სახელი. მისმა კოლექტივმა მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მოიპოვა.

მეაგურეებმა კიდევ უფრო დიდი აღმავლობით დაიწყეს წლის მეორე ნახევარი და პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ გამარჯვებას მიაღწიეს — რვა თვის დავალება შეასრულეს და სექტემბრის ანგარიშში მშენებლებს 750 ათასი ცალი აგური და 50 ათასი ცალი კრამიტი მისცეს.

ქარხნის კოლექტივი დაუცხრომლად იბრძვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. შვიდ თვეში საწარმომ 10 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცემენ მინარევებისაგან თიხის გამწმენდ ახალ ტექნოლოგიურ ხაზს, რითაც მკვეთრად გაუმჯობესდება აგურისა და კრამიტის ხარისხი.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. პროდუქციის გამოშვების გეგმა 1 ივლისისათვის ფაბრიკამ 108,5 პროცენტით შეასრულა, გეგმის ზევით მისცა სამშობლოს 18,8 ტონა სურნელოვანი ჩაი. გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი და პირველი ხარისხის ხვედრითი წონა 70 პროცენტს შეადგენს, გეგმის ზევით გამოშვებულია 83 ათასი მანეთის პროდუქცია და გაწეულია 24 ათასი მანეთის ეკონომია.

მევენახეები სიტყვას არ გატეხენ

გურჯაანი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე 55 ცენტნერზე მეტი ყურძენი ვერ მიიღო, ვენახები სეტყვამ დააზიანა.

შარშანდელი დანაკლისი რომ აანაზღაურონ, გურჯაანელები წელს ენერგიის დაუზოგავად შრომობენ. 135 ჰექტარი ვენახი მორთული პატარძალივით გამოიყურება. გიგა ჯაჯანაშვილი ოცი წელია ბრიგადას მეთაურობს და მას რა ესწავლება. რაც კი ვაზს სჭირდება, არ აკლებს. ვკითხეთ და გვითხრა, თვითეული ჰექტარი ვენახი ას ცენტნერზე ნაკლებ მოსავალს არ მოგვცემსო.

თითქმის ყველა რგოლის ვენახი ვნახეთ. ცუდი არსად არ შეგვიმჩნევია. მაგრამ იოსებ ქოროღლიშვილის რგოლს მაინც ვერავინ შეედრება. მტევანთა სიმრავლისაგან ვაზები წელში წყდებიან. რგოლმა ჰექტარზე ასი ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრა. ახლა ეს მცირედ მიაჩნიათ. 130 ცენტნერს ავიღებთო, ამბობენ, და ასეც იქნება.

— სახელმწიფოს, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. შამიაშვილმა, — სულ ცოტა ხუთას ცენტნერ ყურძენს მივყიდით. დანარჩენს კი კოლმეურნეობის მარანში ჩავამაჭრებთ.

გურჯაანელებს სიტყვის გატეხა არა სჩვევიათ. ისინი კარგი შრომითი წარმატებებით შეხვდებიან პარტიის XXII ყრილობას.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებება სკკპ XXII ყრილობას.

სურათზე: სარემონტო საამქროს მოწინავე ზეინკალი გივი გორდელაძე და ტექნოლოგი ავთანდილ ჩიხლაძე მუშაობენ ახალი მანქანის ნაწილის ათვისებაზე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

სიმინდის აღება დაიწყო

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მესიმინდეები წლევანდელ სიცხეს არ შეუშინდნენ. 4.500 ჰექტარი სიმინდი საგულდაგულოდ დაამუშავეს, ისინი ხომ უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის ინიციატორები არიან.

ყვარლელებმა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მესიმინდეს მოწოდებით მიმართეს — თავდადებულად ებრძოლათ სიმინდის წარმოების გასადიდებლად. მათ ვალდებულება იკისრეს მთელი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიეღოთ 40 ცენტნერი, ხოლო მაღალმოსავლიანი 1.000 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — სამოცი ცენტნერი მარცვლად.

იკისრეს და ასრულებენ კიდეც.

გუშინ რაიონის ექვს კოლმეურნეობაში სიმინდის აღება დაიწყო. კარგი ალოობა აქვთ ყვარლელებს. ავტომანქანები სიმინდს კალოზე ეზიდებიან, სადაც ყვითლად ელვარე პირველი ხვავები აღიმართა.

სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის აღებას შეუდგა ბრიგადა, რომელსაც გამოჩენილი მექანიზატორი ნასყიდა კურდღელაშვილი ხელმძღვანელობს. სიმინდს აქ კომბაინით იღებენ.

სოფელ ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში გუშინ მოსავლის აღების დაწყების პირველ დღეს ილია ბარამაშვილმა კომბაინით სამ ჰექტარზე მეტი სიმინდი აიღო. ჰექტარზე 40 ცენტნერი — ასეთია მისი პირველი ანგარიში.

სიმინდის მოსავლის აღებას შეუდგნენ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

სიმინდის აღება მასობრივად ჩაღდება.

გამარჯვებულნი

აგვისტოს მეოთხე ხუთდღიურში უფრო გაძლიერდა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. მეჩაიე კოლმეურნეობებს შორის დაწინაურდნენ წულუკიძის რაიონის გუბისა და ივანდიდის კოლმეურნეობები. გუბელმა მეჩაიეებმა ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვეს. მოკრიფეს 18,5 ტონა ჩაის ნედლეული და წლიური გეგმა 101,2 პროცენტით გაანაღდეს. მეჩაიეთა ვალდებულებაა სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფონ 40 ტონა.

ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც 141 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. გეგმა კი 140 ტონას ითვალისწინებდა. ივანდიდელები იმისათვის იბრძვიან, რომ ნაკისრი ვალდებულება რაიონული პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის — 26 აგვისტოსათვის შეასრულონ, მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც ლილი ქუთათელაძე ხელმძღვანელობს, წლიური გეგმით გათვალისწინებული 23 ტონის ნაცვლად 28 ტონა მოკრიფა.

წლიური გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მკრეფავებმა ნუნუ ფრუიძემ, ვერა შალამბერიძემ, მერი ქათამაძემ და ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელმა თინა კოპალიანმა.

შ. კვეტენაძე.

დაფნის ფოთოლი — სახელმწიფოს

წყალტუბო. (საკ. კორ.). რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და სოფლის მუშა-მოსამსახურეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 50 ტონა დაფნის ფოთოლი, რაც წლიური დავალების 104,2 პროცენტს შეადგენს.

დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულეს ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის, ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის, ამავე სოფლის კალინინის სახელობის, მუხიანის, ოფშკვითისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

...რომ თქვან: კარგია!

ახლოვდება დრო, როცა მუშაობას დაიწყებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და, ამ დიდი მოვლენის შესახვედრად ჩვენს მეურნეობაში ყოველდღიურად ძლიერდება შემოქმედებითი შრომა.

ახლა მეურნეობაში ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ მიმდინარეობს ჩაის საკრეფი მანქანების საწარმოო გამოცდა. წელს საკრეფი მანქანებით უნდა მოვკრიფოთ 426 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

პირველად მე, როგორც ჩაის საკრეფი მანქანის ტრაქტორისტი, ვცდილობ ისე ნაყოფიერად ვიმუშაო, რომ ყველამ თქვას, კარგიაო. პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ვკისრულობ კომპლექსური მექანიზაცია განვახორციელო პლანტაციებში 8 ჰექტარზე, საკრეფი მანქანით თვითეულ ჰექტარზე ავიღო 4.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გ. გელენავა,
ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

მხურვალე მისალმება

კომის ასსრ მშრომელებისადმი რესპუბლიკის შექმნის 40 წლისთავის აღსანიშნავად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალე მისალმება გაუგზავნეს კომის ასსრ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს რესპუბლიკის შექმნის 40 წლისთავის გამო.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად კომის ასსრ მშრომელებმა მოიპოვეს ნამდვილი თავისუფლება, სამუდამოდ მოსპეს საუკუნოებრივი ჩამორჩენა და სიღარიბე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით, რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. რევოლუციამდელთან შედარებით მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 116-ჯერ გაიზარდა. ძირეული ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხელისუფლების დროს აყვავდა კომი ხალხის კულტურა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ კომის ასსრ მშრომელები კვლავაც დაბეჯითებით და შეუპოვრად იბრძოლებენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა შესრულებისათვის.

ღირსშესანიშნავი თარიღის — კომის ასსრ შექმნის 40 წლისთავის გამო რესპუბლიკის მშრომელებს მხურვალედ ულოცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურო, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო. (საქინფორმი).

მორის ტორეზი აფხაზეთში

სოხუმი. (საკ. კორ.). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოსულია დასასვენებლად, ამ დღეებში ეწვია აფხაზეთს.

აფხაზეთის ასსრ დედაქალაქ სოხუმში მორის ტორეზმა დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

მორის ტორეზმა სოხუმში, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, მეგობრობისა და მშვიდობის ნიშნად დარგო პალმა.

მორის ტორეზს შეხვდნენ და აფხაზეთში მისი ყოფნის დროს თან ახლდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები მ. ბღაჟბა, დ. გოგოხია, ვ. სობოლევი, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. შარტავა.

მეცნიერები — სოფელს

საჩხერე. (საკ. კორ.). მევენახეობის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობასთან შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო. მისი მიზანია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, შრომის მოწინავე მეთოდების განზოგადება-გავრცელება. ამ დღეებში გაიმართა საბჭოს სხდომა.

მევენახეობის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობაში გაწეულ მუშაობასა და მის პერსპექტივებზე საბჭომ მოისმინა მეურნეობის დირექტორის ბ. საყვარელიძის მოხსენება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარმა აგრონომმა ზ. კვირიკაშვილმა, საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ს. ჭიხორიამ, აგრონომებმა პ. ნოზაძემ, ვ. ყაზაროვმა, ი. პაპიძემ შ. ბაზაძემ და სხვებმა.

საბჭოს სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. იაკობაშვილი და საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი გ. ყიფიანი.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომამ დასახა ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა-გავრცელებას.

გეგმა შეასრულეს

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). დაბა ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. კვაშილავა) ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა. 17 აგვისტოსათვის გეგმით გათვალისწინებული 215 ტონის ნაცვლად მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა 220,2 ტონა ჩაის ფოთოლი.

მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი შ. კვარაცხელია) ჩაის კრეფის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, პირველმა ბრიგადამ კი (ბრიგადირი გ. ჩიქოვანი) — 107 პროცენტით.

უცხოეთში

ფაშისტური გამოხდომები

დასავლეთ ბერლინი, 19 აგვისტო (საქინფორმი). უკანასკნელ დღეებში დასავლეთ ბერლინის ქალაქის რკინიგზის უბანში, რომელსაც კონტროლს უწევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაცია, ფაშისტმა არამზადებმა მოაწყეს დამრბევი თავდასხმები. მათ დაანგრიეს 37 რკინიგზის ვაგონი. ზარალი, რომელიც დამრბევებმა მიაყენეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქონებას, მრავალ ათას მარკას შეადგენს.

ბერლინის დემოკრატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი თავდასხმები დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრის ბრანდტის წამქეზებლური მოწოდებების შედეგია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს გაამწვავოს ვითარება დასავლეთ ბერლინში და იმის პასუხად, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ღონისძიებანი ბერლინის სექტორული საზღვრების უშიშროების დაცვისა და კონტროლისათვის.

დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებიც საღად და მშვიდად შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაცვის ღონისძიებებს, აღშფოთებული არიან ფაშისტური ელემენტების აქტივიზაციით.

ინგლისის ჯავშნოსნები დასავლეთ ბერლინში

ლონდონი, 19 აგვისტო (საქინფორმი). თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დღეს ინგლისი გარნიზონის გასაძლიერებლად დასავლეთ ბერლინში გზავნის 18 ჯავშანტრანსპორტიორსა და 16 სადაზვერვო ჯავშანავტომობილს.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ გავგზავნოთ ბერლინში ჯარები მაშველად, რადგანაც დამატებითი ჯავშანმანქანები საკმარისია, რომ დააკმაყოფილოს გარნიზონის უფროსის ახლანდელი მოთხოვნები“.

ს. ადულა სტენლივილში

სტენლივილი, 19 აგვისტო (საქინფორმი). საქინფორმის კორესპონდენტი გ. ფედიაშინი იტყობინება:

17 აგვისტოს ანტუან გიზენგამ მოიწვია სტენლივილში მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელები და წარუდგინა ისინი კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს სირილ ადულას.

თავის მოკლე სიტყვაში გიზენგამ მადლობა გადაუხადა მეგობარი ქვეყნების მთავრობებს დიდი მორალური მხარდაჭერისათვის, რასაც ეს ქვეყნები უწევდნენ მთავრობას, რომელსაც იგი მეთაურობდა. კონგოს პარლამენტმა, თქვა გიზენგამ, ერთსულოვნად ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონგოში 2 აგვისტომდე არსებობდა ერთადერთი კანონიერი მთავრობა — ლუმუმბას მთავრობა და რომ ამ მთავრობის მიერ განხორციელებული ყველა აქტი ძალაში რჩება. ადულას მთავრობა, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, აღიარებულია ლუმუმბას მთავრობის პირდაპირ მემკვიდრედ.

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

17 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩომ თავისი მთავრობის დავალებით საბჭოთა კავშირის მთავრობას გაუგზავნა ნოტა. ნოტა შეეხება ღონისძიებებს, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვის შესაბამისად განახორციელა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დასავლეთ ბერლინთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების დაცვისა და კონტროლისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის ნოტაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს უწოდებს „ბერლინის ოთხმხრივი სტატუსის დარღვევას“ და პროტესტს გამოთქვამს ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ამავე დღეს საბჭოთა მთავრობას ანალოგიური ნოტები გამოუგზავნეს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა.

18 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, სავსებით ესმის და მხარს უჭერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებას. საზღვრებზე თავისი ღონისძიებების განსახორციელებლად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოიყენა მხოლოდ ყოველი სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივი თავისი ინტერესების დაცვის უფლება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცდები ჩაერიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, ამიტომ სრულიად დაუსაბუთებელი და უადგილოა.

ნოტაში აღნიშნულია მიზეზები, რომლებმაც საჭირო და გარდუვალიც კი გახადეს კონტროლის დაწესება დასავლეთ ბერლინთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე მოძრაობისადმი.

დასავლეთი ბერლინი გადაიქცა ძირგამომთხრელი საქმიანობისა და ჯაშუშობის ცენტრად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიური პროვოკაციების ცენტრად.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა თვითონ აღიარეს, აღნიშნულია შემდეგ ნოტაში, რომ დასავლეთ ბერლინი არ არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი და არ შეიძლება მართავდნენ მისი ორგანოები. მიუხედავად ამისა, ამჟამად დასავლეთ ბერლინში მოღვაწეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 50-ზე მეტი სახელმწიფო დაწესებულება, რომლებიც უცერემონიოდ ერევიან ქალაქის ყველა საქმეში, ხოლო ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის ორგანოები თავიანთ უკანონო პრეტენზიებს აცხადებენ ქალაქის ამ ნაწილზე.

რატომ ხდება ყოველივე ეს? საქმე აიხსნება დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალთა წაყრუებითა და აშკარა წაქეზებით, რომლებმაც ოთხმხრივი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი, რასაც ისინი იმოწმებენ, დიდი ხანია გაცვალეს მომსახურებაზე, რომელსაც იღებენ დასავლეთ გერმანიისაგან როგორც ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის მონაწილისაგან.

ნოტაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მრავალი წლის მანძილზე გამოიჩინა მოთმინება ასეთი სრულიად უმსგავსი და შეუწყნარებელი მდგომარეობისადმი. ახორციელებს რა თავის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ პოლიტიკას, მან დიდი მსხვერპლი გაიღო, რომ შეემსუბუქებინა შეთანხმების მიღწევა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანების საკითხებზე. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, მას შემდეგ, რაც წამოყენებულია წინადადებანი გერმანიის საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ, კიდევ უფრო ფართო გაქანება პოვა ძირგამომთხრელმა საქმიანობამ დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

როცა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს და ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ თავიანთი ისტორიული შეთანხმებები დადეს, აღნიშნულია ნოტაში, სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დასახეს დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე გერმანიის ცხოვრების განახლების ერთობლივი პროგრამა. ეს პროგრამა განხორციელდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, დასავლეთ გერმანიაში, რასაც მრავალგზის მიაქცია ყურადღება სსრ კავშირის მთავრობამ, განვითარება მილიტარიზმის აღორძინების გზას დაადგა. და ახლა იქ კვლავ აყვავებას განიცდიან მშვიდობის საქმისათვის საშიში შოვინისტური და რევანშისტული ძალები. დასავლეთის სახელმწიფოებმა თვითონ შეუწყვეს ხელი ამას და უხეშად დაარღვიეს ომისშემდგომი ოთხმხრივი შეთანხმებების ყველა დებულება. ამიტომ ის, რომ ისინი იმოწმებენ ოთხმხრივ შეთანხმებებს გერმანიის შესახებ, რომლებიც თვითონ დაარღვიეს, უსაფუძვლოა.

დასასრულ ნოტაში აღნიშნულია, რომ დაცვის ღონისძიებათა განხორციელება დასავლეთ ბერლინთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე ქმნის გარკვეულ დროებით უხერხულობას ქალაქის მოსახლეობისათვის, მაგრამ დანაშაული ამისათვის მთლიანად უნდა დაეკისროთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საოკუპაციო ხელისუფლებსა და მთავრობას, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ არ დაეშვათ ვითარების გაჯანსაღება ამ რაიონში ყველა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. ამის გამო პროტესტი, რომელიც გამოთქმულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტაში, მოკლებულია საფუძველს და კატეგორიულად უარყოფს საბჭოთა მთავრობა.

ნოტაში აღნიშნულია, რომ, როგორც უკვე განვაცხადეთ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებანი დროებითია. საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაცია არ შელახავს არც ერთი მხარის ინტერესებს და სარგებლობას მოუტანს ყველა ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას. ამას მოუწოდებს იგი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასაც.

• • •

ამავე დღეს საბჭოთა მთავრობის ანალოგიური საპასუხო ნოტები გაეგზავნათ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს. (საქინფორმი).

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲐᲡᲔ ᲘᲖᲔᲘᲛᲔᲑᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

Გ. ᲞᲐᲞᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ.

◆

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ტრიუმფს წარმოადგენს, უმაღლეს მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას, ადამიანის მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, მისი სულიერი კულტურის ნამდვილ სიმდიდრეს, ჯანმრთელობას და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

პროგრამის პროექტში ნათქვამია: „მთლიანად განხორციელდება პარტიის ლოზუნგი — ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პროგრამის განხორციელებაში დიდი როლი ენიჭება მეცნიერების მძლავრ განვითარებას, ბუნების სიმდიდრისა და ძალების ხალხის სამსახურში ჩაყენებას.

ამ მხრივ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა თეორიული კვლევის განვითარება და მეცნიერების შეერთება წარმოებასთან.

პროგრამის პროექტი ითვალისწინებს უწინარეს ყოვლისა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათ შორის ბიოლოგიის განვითარებას.

ბიოლოგია, რომელიც სწავლობს მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა სიცოცხლეს და განვითარების კანონზომიერებებს, წარმოადგენს მედიცინისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის მეცნიერულ საფუძველს.

პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა ბიოლოგიურ მეცნიერებათა შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის, დიდმნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევებისა და ახალი მეცნიერული აღმოჩენებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების მძლავრ აღმავლობას.

პარტიის პროგრამის პროექტი იძლევა მეცნიერულ პროგნოზს იმის შესახებ, რომ „დიდი ძვრებია მოსალოდნელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის განვითარებაში მედიცინის პრობლემების წარმატებით გადაჭრის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საჭიროებასთან დაკავშირებით“.

ბუნების შეცნობისა და მისი გარდაქმნის თანამედროვე ეპოქაში აღინიშნება სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ურთიერთშეჭრა. ყველაზე დიდი აღმოჩენები ხორციელდება ამ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებისა და მიღწევების ერთობლივი გამოყენებით. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანების ი. ა. გაგარინისა და გ. ს. ტიტოვის კოსმოსში გმირული შეჭრა, წარმატებით ფრენა დედამიწის ირგვლივ და უვნებლად უკან დაბრუნება განხორციელდა მათემატიკის, ასტრონომიის, ქიმიის, აეროდინამიკის, ავტომატიკის, რადიოელექტრონიკის, მეტალურგიის, გეოფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინის და სხვა მეცნიერებათა მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებით.

თანამედროვე ბიოლოგიის მთავარი და პროგრესული მიმართულებაა ფიზიკური და ქიმიური მეთოდების უფართოესი გამოყენება სიცოცხლის კვლევისას. ამ მეთოდების მომარჯვება ხელს შეუწყობს იმ მატერიალური პროცესების ღრმა შეცნობას, რომლებიც საფუძვლად უდევს სიცოცხლის მოვლენებს.

ქიმიამ მიგვაახლოვა ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — ცილის პრობლემის გადაწყვეტამდე მისი აღნაგობის შეცნობისა და სინთეზის თვალსაზრისით.

დიდ ყურადღებას იპყრობს გამოკვლევები სიცოცხლისა და მემკვიდრეობის ინტიმურ პროცესებში ნუკლეინის მჟავათა როლის შესახებ.

ბიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ორგანიზმის ცვლილებებისა და განვითარების მართვა ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე გარემოს ფაქტორთა ზეგავლენით. ახლა უკვე შექმნილია სერიოზული მეცნიერული საფუძველი ნივთიერებათა ცვლის ქიმიური დინამიკის სპეციფიკური მხარეების დასადგენად, რაც დაკავშირებულია ორგანიზმის თანმიმდევრულ გარდაქმნებთან ინდივიდუალური განვითარების მანძილზე.

დიდი ბიოლოგიური და სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება ფოტოსინთეზის ბუნებისა და მექანიზმის შესწავლას და მცენარის გარეშე ხელოვნური ფოტოსინთეზის პროცესების განხორციელებას.

სიცოცხლის პროცესების საფუძვლების შემეცნებისა და მათი მართვის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უჯრედის მოლეკულური სტრუქტურის შესწავლას, უჯრედისა და მისი ბირთვის მიკროსამყაროს დაუფლებას, უჯრედში მიმდინარე პროცესების დადგენასა და მიზნობრივად წარმართვას.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ორგანიზმზე ისეთი მძლავრი ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა, როგორიც არის სხვადასხვა სახის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, მათ შორის მაიონიზებელი გამოსხივება, რომელიც იწვევს უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლისა და უჯრედის სტრუქტურის და ფუნქციის შეცვლას, რის შედეგად იცვლება ორგანიზმის ზრდა, განვითარება, გამრავლება და მემკვიდრეობა.

უჯრედისა და მისი შემადგენელი ელემენტების გამოკვლევამ მიგვაახლოვა ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრასთან, როგორიც არის: სიცოცხლის წარმოშობა, მემკვიდრეობის მართვა, სიცოცხლის გახანგრძლივება, კიბოს წარმოშობის მიზეზების მიკვლევა და მისი მკურნალობა, ორგანიზმის ახალ სახეობათა წარმოქმნა და სხვ.

დიდი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, მსოფლმხედველობრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიის შემდგომ შესწავლას. ტვინის ფუნქციისა და მიკროსტრუქტურის გამოკვლევას, იმ ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებების დადგენას, რაც ხორციელდება ტვინის მოქმედებისას.

შექმნილია სათანადო მეცნიერული საფუძვლები ადამიანის საკვები პროდუქტების სიუხვის მიღწევის მთელი რიგი ახალი ბიოლოგიური მეთოდების შემუშავებისათვის. ამ მეთოდების გამოყენება ხელს შეუწყობს მცენარეთა მოსავლიანობის ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას (ცილების, ვიტამინების, ცხიმების, შაქრების და სხვა ნივთიერებათა შემცველობის გადიდებას), გვალვაგამძლეობის, ყინვაგამძლეობის, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობის გაზრდას, ხოლო ცხოველებში მათი პროდუქტიულობის (ხორცის, რძის, ცხიმის, მატყლის, აბრეშუმის, თაფლ-სანთლის გამოსავლიანობის) მკვეთრ გადიდებას.

პროგრამის პროექტში აღნიშნულია მიკროორგანიზმების შესწავლის საჭიროება და ფართოდ გამოყენება სახალხო მეურნეობაში და ჯანმრთელობის დაცვაში.

ამასთან დაკავშირებით, ბიოლოგიის წინაშე ისახება ამოცანა, რათა მიკროორგანიზმების ნივთიერებათა ცვლის მართვის ეფექტური ხერხების შემუშავებით დავეუფლოთ მათი ფორმაწარმოქმნის პროცესებს და ამ გზით მივაღწიოთ ანტიბიოტიკურ ნივთიერებათა, ვიტამინების, ფერმენტების ზრდის სტიმულატორების და მათი ცხოველმყოფელობის სხვა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პროდუქტების გადიდებას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვირუსების შესწავლას, რომლებიც ცოცხალისა და არაცოცხალის მიჯნაზე იმყოფებიან და ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა მრავალ დაავადებას იწვევენ. სიცოცხლის მოვლენების არსის, გამრავლებისა და მემკვიდრეობის პრობლემის შესწავლის დარგში ახალ უმნიშვნელოვანეს პერსპექტივას სახავს ის ფაქტი, რომ ვირუსებისაგან გამოყოფილი ნუკლეინის მჟავები ინარჩუნებენ დამახასიათებელ ინფექციურ უნარს და შეიძლება ვირუსის შემადგენელი ნაწილებიდან (ცილიდან და ნუკლეინის მჟავიდან) სრულფასიანი ვირუსის ხელახლა წარმოქმნა.

პარტიის პროგრამის პროექტი ამომწურავი სიღრმითა და მრავალმხრივობით იძლევა საზოგადოებისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა მნიშვნელობის შეფასებას და სახავს მთავარ ამოცანებს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მათი განვითარების ხასიათი და მიმართულება კომუნიზმის ეპოქაში.

პროგრამის პროექტში აღნიშნულია, რომ „კაცობრიობის ინტერესები ამ მეცნიერებათა წინაშე მთავარ ამოცანებად აყენებენ გამოარკვიონ სიცოცხლის მოვლენების არსი, დაეუფლონ და მართონ სიცოცხლის პროცესები, კერძოდ, ნივთიერებათა ცვლა, ორგანიზმების მემკვიდრეობა“.

ამ ამოცანების შესაბამისად კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ბიოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსის მნიშვნელობა. მასთან განსაკუთრებით მძლავრად განვითარდებიან ბიოქიმია, ბიოფიზიკა, კოსმოსური ბიოლოგია, გენეტიკა, ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, სელექცია.

კომუნიზმის ეპოქაში სულ უფრო მეტად გაიზრდება ბიოლოგიურ მეცნიერებათა მნიშვნელობა და მისი ხვედრითი წონა სხვა მეცნიერებათა შორის, რადგანაც ადამიანს საბოლოო ანგარიშით აინტერესებს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სიცოცხლის გახანგრძლივება.

ატომისა და კოსმოსური ფრენის ეპოქა თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზეიმის ეპოქაა. ადამიანი თანამედროვე ეპოქაში ბუნების შემეცნებისა და დაუფლების თვისებრივად ახალ მაღალ საფეხურზე ავიდა. კოსმოსში შეჭრით ის გაეცნო სამყაროს ისეთ მხარეებს, რომლებიც მიუწვდომელი იყო ჩვეულებრივი „მიწიერი“ პირობებისათვის, რადგანაც დედამიწის ფიზიკური და ბიოლოგიური პირობები არსებითად განსხვავდება კოსმოსის პირობებისაგან. შეიქმნა ახალი დარგი — კოსმოსური ბიოლოგია, რომელიც შეისწავლის კოსმოსური ფაქტორების (უწონობა, კოსმოსური გამოსხივება და სხვ.) გავლენას ორგანიზმზე. საბჭოთა კავშირის გმირებმა ი. ა. გაგარინმა და გ. ს. ტიტოვმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ამ მეცნიერების საგანძურში. კოსმოსური ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა აგრეთვე სიცოცხლის გავრცელება და მისი ფორმები ცის სხვა სხეულებზე (პირველ რიგში კი მარსსა და ვენერაზე).

ეს უკანასკნელი პრობლემა კაცობრიობის სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, რადგან კოსმოსური გაფრენები და საპლანეტთაშორისო მოგზაურობა კომუნიზმის ეპოქაში ოცნებიდან სინამდვილედ იქცა.

ჩვენ, ბიოლოგები, პარტიის პროგრამის პროექტით ბიოლოგიის დარგში დასახული საკაცობრიო მნიშვნელობის ამოცანებით აღფრთოვანებულნი, ჩ. დარვინის, ი. მიჩურინის, ი. პავლოვის მდიდარი იდეური და მეცნიერული მემკვიდრეობის გამოყენებით, მთელი თანამედროვე ბიოლოგიის მიღწევების მომარჯვებით თავდადებით ვიბრძოლებთ აღნიშნული ამოცანების განუხრელად განხორციელებისათვის კომუნიზმის ინტერესების შესაბამისად.

ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ

მთებივით ერთად შევკარით მხრები,
ლაჟვარდებისკენ მოგვიხდა ფრენა,
და უფრო მძლავრად, და მეტის გზნებით
აენთო ჩვენი მომავლის რწმენა.

რწმენა, რომელიც ბრძოლით დაღლილებს
ძალას აძლევს და ანიჭებს ლხენას,
ჩამქრალ თვალებშიც ხანძარს აღვივებს,
დადუმებულსაც აუდგამს ენას.

რწმენა, რომელიც დიდს და პატარას
როგორც ჰაერი, ისე სჭირდება,
ძმობას გვასწავლის და ძმურ გატანას,
თუ კი ოდესმე გაგვიჭირდება!

ჩვენ გასაჭირი ვნახეთ ურიცხვი,
ბევრი სიძნელე, ბევრი წამება,
ადამიანთა სიყვარულისთვის
თავი გასწირეს ჩვენმა მამებმა.

მათ მუდამ სწამდათ ამ დღის სინათლის,
რომ არ ვიყავით განწირულები,
სამშობლოსათვის და ხალხისათვის
ფეთქდნენ ძალუმად მათი გულები.

ამ დღეს ელოდნენ, დასტურ ბრწყინვალეს,
და ფიცულობდნენ მის გათენებას,
დიდება მარად ჩვენს დიდ წინაპრებს,
მათი სახელის წმიდად ხსენებას!

არა ქონიათ სხვა საფიცარი,
კომუნიზმის და სამშობლოს გარდა,
გაუქრობელი, დაუვიწყარი
სიცოცხლე მათი შუქურას ჰგავდა, —

გზას გვინათებენ თვალაწვეულნი,
და უხაროდათ, და ამაყობდნენ,
და ჩირაღდნებად გადაქცეულნი
ჩვენთვის იწვოდნენ. აჰა, ნაყოფი!

აი ნაყოფი ბრძოლის და შრომის,
ყველა თაობამ რომ მხრებით ზიდა,
ჩვენი ოცნება არ არის შორი
და გული ჩვენი სავსეა მზითა.

რა მწვერვალები გვიხმობენ ზემოთ!
რა მღელვარებით მიქრიან დღენი!
მზისკენ მივდივართ, პარტიავ ჩემო,
რადგან შენა ხარ მეგზური ჩვენი.

ᲮᲣᲢᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲨᲘ“ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲪᲜᲝᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

საბჭოთა ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ

„ვიქნებით კომუნისტური მშენებლობის წინა ხაზზე“ — ასეთი სათაურით გაზეთმა **„საბჭოთა აფხაზეთმა“** დაბეჭდა გალის რაიონის სოფელ მუხურის, ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კ. ელიავას წერილი.

ავტორი თავისი სასოფლო-სამეურნეო არტელის მაგალითით ასაბუთებს პროგრამის პროექტის დებულებას იმის შესახებ, რომ „კოლმეურნეობა — ეს კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის“.

— ჩვენთან წამყვანია ჩაის კულტურა, — წერს იგი, — ყოველწლიურად ვზრდით მოსავლიანობას ჰექტარზე და მეტ ფოთოლს ვაძლევთ სამშობლოს. წელს მნიშვნელოვნად გადავაჭარბებთ ჩაის კრეფის 1965 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს. შარშანდელთან შედარებით — 2-3-ჯერ და მეტად გავზრდით სიმინდის მოსავლიანობას, ავამაღლებთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას.

— ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ხვალინდელი დღე, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — როცა საკოლმეურნეო სოფლები თანდათანობით გარდაიქმნებიან ქალაქის ტიპის გამსხვილებულ დასახლებულ პუნქტებად, სადაც გვექნება კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, კომუნალური მომსახურება, საყოფაცხოვრებო საწარმოები, კულტურული და სამედიცინო დაწესებულებანი. ყოველივე ეს აღგვაფრთოვანებს, ძალასა და ენერგიას გვმატებს, გვრაზმავს ახალი ზღუდეების ასაღებად.

• • •

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲭᲐᲠᲐ

ᲡᲙᲙᲞ პროგრამის პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების გადიდების ამოცანებს. ოცი წლის მანძილზე თანმიმდევრულად გატარდება ის ხაზი, რომ უწინარეს ყოვლისა მოპოვებულ იქნას ნავთობი და გაზი და ნავთობის მოპოვებამ მთლიანად უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილება.

ბათუმელ მენავთობეთა აზრსა და მისწრაფებას გამოხატავს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ოპერატორის, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრის ს. ჩანტლაძის წერილი, რომელიც გაზეთ **„საბჭოთა აჭარის“** ერთ-ერთ ნომერშია გამოქვეყნებული.

— სკკპ ახალი პროგრამის პროექტმა, — ნათქვამია წერილში, — ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივის შრომითი აქტივობის ახალი აზვირთება გამოიწვია. საამქროებში, ტექნოლოგიურ დანადგარებზე, განყოფილებებში მენავთობეები გულდასმით ეცნობიან და მხურვალედ იწონებენ კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას. მათი პასუხი ასეთია: ჭეშმარიტად დიდებული პროგრამაა. მისი განხორციელებისათვის საჭიროა ყველა საბჭოთა მოქალაქის შემოქმედებითი, მაღალნაყოფიერი შრომა.

მენავთობეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს შვიდი თვის დავალება. პირველი საამქრო კვლავ შეჯიბრების ავანგარდშია. მან შვიდი თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, ხოლო ჩვენმა დანადგარმა — 104,9 პროცენტით.

— ვიმუშაოთ კიდევ უკეთესად, ქვეყანას მივცეთ მეტი მაღალხარისხოვანი ნავთობპროდუქტები — აი ბათუმელ მენავთობეთა მისწრაფება, — დაასკვნის ავტორი.

• • •

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲡᲔᲗᲘ

ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ „შეძლებს, იაშენებს“, რომელიც გაზეთ **„საბჭოთა ოსეთის“** 16 აგვისტოს ნომერშია გამოქვეყნებული, — მწერალი რ. ჩოჩიევი დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობს პარტიის პროგრამის დიად წინასწარდასახულობებზე, იმ ძირეულ ცვლილებებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

— კითხულობ პროგრამის პროექტს, — წერს იგი, — და მთელი შენი არსება მღერის! გინდა მთელ მსოფლიოს ესმოდეს ეს სიმღერა. ჩემი პატარა ოსეთის აყვავება ხომ ასე ახარებს გულს! რა იყო იგი წინათ და როგორ შეიცვალა დღეს!

მახსოვს ჩვენი შეჭვარტლული ერდო, საკიდელზე მურიანი ქვაბი. შინ ნაქსოვი შალის პერანგით ხომ გახეხილი მქონდა კისერი. მახსოვს, ზამთრის გრძელ ღამეებს ცეცხლის შუქი რომ გვინათებდა და ნავთის ლამპის ანთება დღესასწაულად მეჩვენებოდა.

ახლა? ოსეთის მთებიც დაქსელა ელექტროხაზებმა. ოსეთშიც აშენდა ფაბრიკა-ქარხნები. სოციალისტური ოსეთი კომუნიზმისაკენ ისწრაფვის. ბედნიერებამ დაისადგურა ჩვენშიც. საუკუნოვან მეგობრებთან, ქართველ ძმებთან ერთად ვაშენებთ ოქროს მომავალს.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ № 8

გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ №8. ნომერში გამოქვეყნებულია **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები**; დაბეჭდილია განყოფილება **„პარტიული ქრონიკა“**.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივში სასახელო შრომითი მაჩვენებლებით სიყვარული დაიმსახურეს მოწინავე მერგოლურებმა ბონდო გელაშვილმა (მარცხნივ) და რობინზონ მჭედლიშვილმა, ეს ორი მეგობარი ჩაბმულია წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ სამშობლო მტკიცედ დგას საყოველთაო მშვიდობის სადარაჯოზე. ყოველ დღეს ახალი წარმატებანი, შრომითი გმირობანი მოაქვს. ყველაფერი, რასაც საბჭოთა ადამიანები აღწევენ ჩვენი ზრდა-განვითარების ყველა დარგში, იქნება ეს ახალი მძლავრი საწარმოებისა, თუ ჰიდროელსადგურების ამუშავება, მაღალი წარმადობის ჩარხების, ჩქარი ელმავლების გამოშვება თუ ყამირი მიწების ბარაქა, მიმართულია ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გასამარჯვებლად.

ახლა, როცა კაპიტალისტური სამყაროს მესვეურები ბევრს გაჰკივიან ორი ბანაკის შეჯახებაზე და ომის გარდუვალობაზე, ფხიზლად დგანან ჩვენი მეომრები საბჭოთა საზღვრების საგუშაგოზე. ჩვენ ყველა საშუალება მოგვეპოვება გამანადგურებელი დარტყმა მივაყენოთ ყოველ აგრესორს, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას, მათს მტკიცე მიზანდასახულობას — ააგონ კომუნიზმის დიადი შენობა.

კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გამოქვეყნებამ უჩვეულო ენთუზიაზმით აღანთო მთელი საბჭოთა ხალხი. გაზეთ „კომუნისტს“ ყოველდღე ასობით ლექსი მოსდის... გვწერენ, თავიანთ აღტაცებას გამოთქვამენ არმიისა და ფლოტის რიგებში გაწვეული ახალგაზრდებიც. ისინი უმღერიან მშვიდობიან სამშობლოს, უსურვებენ მას შემდგომ წინსვლასა და აყვავებას დიადი შენების გზაზე.

„არ უნდათ ქვეყნებს ომის ქუხილი,
არ სურთ ისმინონ დაჭრილთა კვნესა“,

გვწერს სერჟანტი ო. გრიგალაშვილი.

„შორს უკრაინის საზღვრებს ვდარაჯობ,
ნარინჯის ქვეყნის ალალი შვილი“,

ამბობს თავის ლექსში ჯ. ოსიშვილი. იგი არმიაში იგონებს მშობლიურ მტკვარს, რომლის ბუტბუტი იქაც ჩაესმის.

„რა ჩააქრობს არწივის კერას,
საქართველოს ია-ვარდი ფერავს“,

ნათქვამია ქართველი დედებისადმი მიძღვნილ ლექსში „ქართველო ქალო“, რომლის ავტორია ჯარისკაცი ო. ჯავახიშვილი. იგი მადლობას უხდის დედას, რომ სამშობლოს სიყვარული ჩააგონა, და პირობას იძლევა მუდამ ფხიზლად იდგეს მამულის დასაცავად, სადაც უნდა იყოს გაგზავნილი.

„შორ მხარეშიც მე შენ გიცავ,
ჩემო ტკბილო საქართველო“,

იწერება ლენინგრადის ოლქიდან ა. თაბუკაშვილი და გვპირდება: „თბილისს მტერს არ შევახედებ, ვიდრე მიცემს მკერდში გული“.

„მზეო, ამოდი, ამოანათე,
ჩანგო, აჟღერდი ლხენითა“,

რომ ჩემი ღვიძლი საქართველო მომაგონო კალინინგრადის ცის ქვეშ, — წერს გ. საქუაშვილი.

„ხარობს მამული, ვიცავ
და ვუმღერ,
გულში ბრწყინდება მისი
ნათელი“,

ბესარაბიიდან გვწერს მებრძოლი რ. კვიჟინაძე. და დიდებას ასხამს სამშობლოს სახელოვან წინაპრებს, რომ ასე შეაყვარეს ღვიძლი ქვეყანა:

„ბევრი დაეცა
ამ მიწაზე გულგანგმირული,
ბევრ ვაჟკაცს სწორედ
ამ ნანგრევთან უმუხთლა ბედმა“,

წერს ამ ოცი წლის წინათ დაბომბილ ხიდზე კურსანტი კ. თოლორდავა, რომელიც ახლა კალუგის ოლქში იმყოფება არმიის რიგებში.

მშვიდობას, ქვეყნის აყვავებას, ხალხის გმირობას უმღერიან გულწრფელი სტრიქონებით **ნ. გელენიძე, ე. გელაშვილი, ლ. გულიევი, ჯ. ლაბაძე, ი. სპირიდონოვი, შ. ნადიბაიძე, თ. კაციაშვილი, თ. კილაძე, ო. კლარჯეიშვილი, ა. კუბლაშვილი, ლ. ცნობილაძე, კ. ჩარაევი, ა. ჩოხელი, ა. ჩხიტუნიძე, თ. ჩხუბიანიშვილი.**

სადაც უნდა ვიყოთ, გვწერენ ისინი, გულს გვითბობს მშობლიური კუთხის სიყვარული, ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ მშვიდობას ვეტრფით და მუდამ ფხიზლად ვდგავართ ჩვენი ზღვებისა და აყვავებული მიწის დასაცავად.

განსაკუთრებულ აღტაცებას გამოთქვამს ახალგაზრდობა ჩვენი ლეგენდარული კოსმონავტების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის ფრენის გამო. ნაკადივით მოდის რედაქციაში ლექსები, წერილები ამ დიდებამოსილ გმირებზე.

თქვენ გიმღერიან
ჩვენი მთებიც, მინდორ-ველებიც,
კაცობრიობა
თქვენ გადიდებს ყველა ენაზე,

ასე გამოთქვამს თავის გრძნობას მოსწავლე **ზაირა დოლიძე** სოფელ ქვიანიდან.

პარტიას, მშვიდობას, გმირებს ადიდებენ თავიანთ ლექსებში **ც. აბრამიშვილი, გ. ახვლედიანი, ლ. ბარათაშვილი, ი. ბუთიაშვილი, გ. ბრეგაძე, კ. დათუაშვილი, ი. პაპუკაშვილი, ე. სულთანიშვილი, ც. შავგულიძე, ვ. ხუცურაული, ზ. ებანოიძე, გ. ლეჟავა, ს. ფოფხაძე, დ. ხახიაშვილი, ნ. კორშია, გ. ბეციაშვილი** და სხვ.

ყოველდღე იბადება დიადი სამშობლოს ახალი სიმღერები.

ეს პირმცინარი გოგონა ახალგაზრდა ფეიქარი ჯულიეტა გაბუნიაა. მას საწარმოო გამოცდილების დიდი სტაჟი არა აქვს, მაგრამ უკვე მოწინავე ფეიქრების მხარდამხარ იბრძვის და საწარმოო მაჩვენებლებიც საამაყო აქვს.

მაუდ-კამვოლის კომბინატის კამვოლური წარმოების მასრების მომხსნელი ჯულიეტა გაბუნია ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 110 პროცენტით ანაღდებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

Ზ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ,
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი

Ე. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მარგანტრესტის ახალი ტექნიკისა და მექანიზაციის დანერგვის განყოფილების ინჟინერი.

◆

ᲩᲕᲔᲜᲘ გმირული პარტიის ახალი პროგრამის პროექტში, რომელსაც პარტიის XXII ყრილობა მიიღებს, გარკვევით არის ნათქვამი: „პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ორი ათწლეულის მანძილზე შექმნან **კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**“. ამ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს შავ მეტალურგიას, მარგანეცის მრეწველობას, იქ ახალი ტექნიკის დანერგვას, წარმოების მექანიზაცია-ავტომატიზაციას, რაც განუხრელად ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამსუბუქებს მაღაროელთა შრომას.

მარგანეცის მრეწველობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი მოწინავე სამამულო ტექნიკით აღიჭურვა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ბევრი რამ გაკეთდა მადნის მონგრევის, დატვირთვის და ტრანსპორტირების დარგში. შეიძლება ითქვას, რომ მაღაროებში მადნის ბურღვა-მონგრევის საკითხი გადაწყვეტილია. ამისათვის გამოყენებულია უახლესი კონსტრუქციის საბურღი მანქანები.

იმ მიზნით, რომ გადაწყდეს მცირე სიმძლავრის ფენებში მადნის მექანიზებული დატვირთვის საკითხი, მარგანეცის ტრესტის დაკვეთით მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტმა „გიპრორუდმაშმა“ დაამზადა მარგანეცის სატვირთავი მცირეგაბარიტიანი მანქანის მოდელი, რომლის საწარმოო გამოცდამ დადებითი შედეგი მოგვცა. მისი სრულყოფის მიზნით მალე მივიღებთ ორ ასეთ მანქანას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი კონსტრუქციის მანქანა ჩვენს პირობებში წარმატებით იმუშავებს. ამით 65-75 პროცენტს მიაღწევს მადნის მექანიზებული დატვირთვა.

უფრო მტკივნეულია მაღაროების გამაგრების მექანიზაცია. ეს პროცესი ჯერჯერობით მთლიანად ხელით სრულდება. იმავე ინსტიტუტმა „გიპრორუდმაშმა“ ტრესტის შეკვეთით შექმნა ბიგის დასადგმელი მანქანის საცდელი ნიმუში. ამ მანქანის საწარმოო გამოცდამ დაადასტურა, რომ მასში კონსტრუქციულ შესწორებათა შეტანის შემდეგ მისი გამოყენება შესაძლებელია სანგრევების გასამაგრებლად.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული მარგანეცის ტრანსპორტირებაში.

ნედლეულიდან ლითონური მარგანეცის მაქსიმალურად ამოკრეფა რენტაბელურად მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ეს პროცესი გამამდიდრებელ ფაბრიკებში სრულდება. ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკებში პეროქსიდების, დარკვეთის და სხვა გამამდიდრებელ ფაბრიკებში დადგმულია მაღალი სიხშირის დამლექი, დგუშიანი, მოძრავცხრილიანი მანქანები.

პეროქსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიმდინარეობს საცდელი სამუშაოები მარგანეცის ფლოტაციის მეთოდით გამდიდრებაზე. მადნის საცდელ სადგურში მუშაობას დაიწყებს სუსპენზიის მეთოდით გამდიდრების საამქრო, სადაც შემუშავდება სხვადასხვა წონაკუთრის სითხეებით ღარიბი მადნების გამდიდრების ხერხები. გამდიდრების აღნიშნული მეთოდების ათვისებით უზრუნველყოფილი იქნება მშენებლობაში მყოფი საფლოტაციო, დამყვანი და კარბონატული მადნების გამამდიდრებელი ფაბრიკების შეუფერხებელი მუშაობა.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის ძირითადი პირობაა საწარმოთა აღჭურვა ახალი ტექნიკით, ავტომატიზაცია-მექანიზაცია. ამ მხრივ სერიოზული სამუშაოები წარმოებს. დისტანციურ მართვაზე გადაყვანილია ცენტრალური განიავების ორი ვენტილატორი, ხოლო ავტომატურ მართვაზე ამდენივე გენერატორი. კალინინის სახელობის, ახალი ითხვისისა და ახალი დარკვეთის მაღაროების წყალსატუმბავ დანადგარებს ავტომატები მართავენ. ლენინის სახელობის მაღაროში დამთავრდა ესტოკადის სიგნალიზაცია-ცენტრალიზაცია-ბლოკირების საცდელი უბანი. მაღაროს შიგატრანსპორტზე მისი გადატანა-დანერგვა მარტო ლენინის სახელობის მაღაროში დაზოგავს 63.400 მანეთს.

პეროქსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიმდინარეობს მონტაჟი ავტომატიზაციისათვის. ამით წლიურად ათასობით ტონით გაიზრდება მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვება და მიღებული იქნება 85.200 მანეთი წლიური ეკონომია.

წარმოების ავტომატიზაცია-მექანიზაციისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის საცდელ სამუშაოებს ახორციელებს მარგანტრესტის ახალი ტექნიკის დანერგვის საამქრო. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამთო კომბაინის გამოცდა და სხვ. გათვალისწინებულია ჭიათურის პირობებში გამოიცადოს და დაინერგოს ფარისებური მექანიზებული სამაგრი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს დანაკარგებს და ძალიან უსაფრთხოა.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტში ჩაწერილია: **„კომუნიზმის დიადი შენობა საბჭოთა ხალხის — მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ბეჯითი შრომით შენდება. რაც უფრო წარმატებით შრომობენ ისინი, მით უფრო ახლოვდება დიადი მიზნის განხორციელება — კომუნისტური საზოგადოების აშენება“.** პროგრამის პროექტის შესანიშნავი სიტყვები ჭიათურელ მაღაროელებს ახალი შრომითი საქმეებისათვის შთააგონებს. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა სამშობლოს არ მოაკლდეს მაღალხარისხოვანი მარგანეცი, ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდებიან მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

1961 ᲬᲚᲘᲡ 22 აგვისტოს, დღის 11 საათზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, 29) შედგება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სამეცნიერო სესია თემაზე: „კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი პროგრამა“.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

პარტიის ლენინური პროგრამები — პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის საბრძოლო იარაღი. მომხს. ნ. ბ. მახარაძე.

კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა. მომხს. ს. დ. ჩხარტიშვილი.

სკკპ ამოცანები ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში. მომხს. ი. ს. მიქელაძე.

ძველი ბოლშევიკების მოგონებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე

ვაშინგტონის საომარი ფსიქოზი

სენტოს ავაზაკობა მზის სინათლეზე

მოსკოვი, 18 აგვისტო. (საქდესი). დღეს უცხოეთის დეპეშათა სააგენტოებისა და გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები და საბჭოთა ჟურნალისტები გაეცნენ სენტოს უაღრესად საიდუმლო დოკუმენტების ფოტოპირებს, რომლებიც ამხილებენ ამ აგრესიული ბლოკის ორგანიზატორებს ატომური ომის მზადებაში.

ეს დოკუმენტები მოხსენიებულია საქდესის დღევანდელ განცხადებაში.

დოკუმენტების ფოტოპირები და მათ საფუძველზე შედგენილი რუკა ატომური დარტყმების მიყენებისა სანახავად გამოფენილია საქდესის შენობაში.

გამოფენაზე მოვიდა საბჭოთა პრესის, უცხოეთის პრესისა და რადიოს ბევრი წარმომადგენელი.

დღის სინათლეზე გამოტანილია სენტოს უაღრესად საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც შემაძრწუნებელი ძალით ამხილებენ აგრესიულ და ამავე დროს თვითმკვლელობის გეგმებს, რომლებსაც ადგენენ ამ ვითომდა თავდაცვით ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ ატომური ომის გაჩაღების გეგმების გარდა აღნიშნული დოკუმენტების ავტორებმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ლოცვა-კურთხევით შეიმუშავეს (ვითომდა იმ მიზნით, რომ შექმნან „საფარი" საბჭოთა შეიარაღებული ძალების საპასუხო დარტყმის გზაზე) ირანისა და პაკისტანის — ესე იგი ცენტრში შემავალი ქვეყნების ტერიტორიის ატომური დაბომბვის გეგმები. ამავე მიზნით შედგენილია ნეიტრალური ავღანეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ატომური დარტყმის გეგმები.

სენტოს სამხედრო კომიტეტის ერთ-ერთ დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ატომური დარტყმების მიყენების საბოლოო გეგმები „უნდა შეადგინონ შეერთებულმა შტატებმა და შეერთებულმა სამეფომ, რომლებსაც ჰყავთ სათანადო სპეციალისტები".

„მიზნების ამორჩევა ატომური დარტყმების მიყენებისათვის" — ასე ეწოდება ერთ-ერთ დოკუმენტს, რომლის დანართები შეიცავს ირანის, პაკისტანისა და ავღანეთის დასახლებული პუნქტების სახელწოდებებს. დაგეგმილია ისინი აღგავონ პირისაგან მიწისა 40 ატომური აფეთქებით სიკვდილის ზონის შესაქმნელად.

როგორც რუკიდან ჩანს, რომელიც შედგენილია ხსენებული დოკუმენტების საფუძველზე, ამ 40 დარტყმის შედეგად ნგრევა და მომაკვდინებელი რადიაცია მოიცავს არა მარტო ამ ქვეყნებს, არამედ მათი მეზობელი ქვეყნების ვეებერთელა რაიონებს.

დოკუმენტიდან, რომელიც დასათაურებულია „ამერიკის შეერთებული შტატების კომენტარები" გამომდინარეობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უფროსთა კომიტეტის ხელმძღვანელობამ განიხილა ეს გეგმები და არა მარტო მოიწონა, არამედ თავისი კორექტივებიც შეიტანა

ამერიკელმა მხედართმთავრებმა, რომლებიც ჰყავს ასწავლიან თავიანთ ხელქვეითებს, მხედველობიდან გაუშვეს, რომ ამგვარი ბოდვითი გეგმები განწირული არიან ჩასაფუშავად.

ხანძრის კერა და კონტროლი

ბერლინი, 19 აგვისტო, (საქდესი). გუშინ საღამოს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც განხორციელდა გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის მიზნით.

გამოსვლის დასაწყისში ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ მოვლენებით მდიდარმა დღეებმა განვლო და რომ ცხოვრება ახლა წყნარად მიმდინარეობს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სახელით მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს და მის მთავრობას ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობებს დიდი დახმარებისათვის გერმანიის პრობლემის გადაჭრაში.

ვ. ულბრიხტმა გაიხსენა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები მთელი რიგი წლების მანძილზე მტკიცედ მოითხოვდნენ, რომ ყველა სადავო საკითხი გადაიჭრას მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. სამახსოვრო ბარათი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის, ისევე როგორც მშვიდობის გერმანული გეგმა, რომელიც სახალხო პალატამ მიიღო, გამსჭვალულია ურთიერთგაგების სულისკვეთებით. ეს დოკუმენტები გამოხატავენ მისწრაფებას უზრუნველყონ მშვიდობა და ყოველი ღონე იხმარონ, რათა ევროპისა და მსოფლიოს ხალხებმა თავიდან აიცილონ ახალი სამხედრო კონფლიქტი.

როგორც ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობიან უზრუნველყოფას.

ჩვენ, განაცხადა მან, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ მშვიდობის საქმეში, როცა უზრუნველვყავით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების უსაფრთხოება დასავლეთ ბერლინისა და დასავლეთ გერმანიის მიმართ. ვახორციელებდით რა ჩვენს ღონისძიებებს, ჩვენ ვასრულებდით შეთანხმებებს საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან, შეთანხმებებს, რომლებიც გვავალებენ ქმედითად დავიცვათ და კონტროლქვეშ ვიქონიოთ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები, ღონისძიებანი სწრაფად, ზუსტად, კონკრეტულად და წარმატებით განხორციელდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების უზრუნველყოფის გადამწყვეტი მოქმედების მეოხებით ომის ხანძრის კერა — დასავლეთი ბერლინი კონტროლს დაექვემდებარა. ამით ჩვენ ვიზრუნეთ იმისათვის, რომ სოციალიზმის მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგრძელდეს მშვიდობიანი გზით.

ამავე დროს, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, და ეს მიმაჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად, ჩვენ კვლავ დავანახვეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელ პოლიტიკოსებსა და მოსახლეობას ძალთა ნამდვილი თანაფარდობა გერმანიასა და მსოფლიოში. ჩვენმა ღონისძიებებმა ცხადყო, რომ სერიოზულად და უყოყმანოდ მივდივართ იქით, რომ მოვამზადოთ საზავო ხელშეკრულება.

„საფრანგეთში აზვირთდა გაფიცვების ტალღა".

სურათზე: მერლბაკის სენტ-ფონტენის შახტის გაფიცულმა მაღაროელებმა დირექციის შენობის ფანჯრის მინები ჩაამსხვრიეს და ავტომანქანები გადააბრუნეს.

თვითნებობის ახალი აქტი

ბერლინი, 18 აგვისტო. (საქდესი). 17 აგვისტოს ღამით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიონული კომიტეტის შენობას დასავლეთ ბერლინის შენებერგის რაიონში მეორედ დაესხნენ თავს, კომიტეტის შენობა მთლიანად დარბეულია. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 15 აგვისტოს ღამით ხულიგანთა ჯგუფი შეიჭრა კომიტეტის შენობაში, რომელსაც, დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრის ბრანდტის ოფიციალური განცხადებით, ისევე როგორც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყველა სხვა რაიონულ კომიტეტს დასავლეთ ბერლინში, 14 აგვისტოდან პოლიცია უწევს მეთვალყურეობას.

როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, მეორე თავდასხმის დროს ხულიგნები ისევე თარეშობდნენ კომიტეტის შენობაში, როგორც 1933 წელს ნაცისტებმა ითარეშეს კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების შენობებში, აგრეთვე პროფკავშირთა სახლებში: საწერი მაგიდები, სკამები, რადიომიმღებები — ნაჯახით დაამსხვრიეს და გროვად დაყარეს. თავდამსხმელებმა შენობის კედლებზე დაჯღაბნეს პროვოკაციული წარწერა „გერმანიის ერთიანო სოციალისტურო პარტიავ — წაეთრიე" და უხეში საგინებელი სიტყვები.

გამალებული შეიარაღება

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ დღეს ხელი მოაწერა კანონპროექტს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ყველაზე დიდია მშვიდობიან დროს. სამხედრო ასიგნებანი თავდაცვის სამინისტროს საჭიროებისათვის მიმდინარე საფინანსო წელს გათვალისწინებულია 46,7 მილიარდი დოლარის ოდენობით, რაც აღემატება თავდაცვის სამინისტროს საჭიროებისათვის ასიგნებებს კორეაში ომის უკანასკნელ წელს.

ამ თანხაში შედის დამატებითი სამხედრო ასიგნებანი 3,5 მილიარდი დოლარის ოდენობით.

მაგრამ ეს მიმდინარე საფინანსო წელს სამხედრო საჭიროებისათვის გამოყოფილ სამხედრო ასიგნებათა სრული თანხა როდია. უცხო სახელმწიფოების დასახმარებლად განკუთვნილ ხარჯებთან, რომელთა მეტი წილი ხმარდება ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთათვის შეიარაღების მიწოდებას, და სხვა არაპირდაპირ სამხედრო ხარჯებთან ერთად ისინი 53 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენენ.

იარაღის ჟღარუნი

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (საქდესი). ვაშინგტონის პრესა იუწყება, რომ ახლა განიხილავენ საკითხს დასავლეთ ბერლინში ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების დამატებითი კონტინგენტების გაგზავნის შესახებ. ეს ნაბიჯი, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯონსონის გამგზავრება გერმანიაში, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, მიზნად ისახავს „აღუთქვას დასავლეთის გერმანელებს ამერიკელთა მტკიცე მხარდაჭერა ბერლინის კრიზისში, რომელიც თანდათან ვითარდება".

ამავე დროს თეთრ სახლში უარი თქვეს გაეკეთებინათ რაიმე განცხადება ბერლინში დასავლეთის სახელმწიფოთა გარნიზონის გათვალისწინებული გადიდების ცნობის შესახებ.

როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიაში ჯონსონის ვიზიტის შესახებ მიიღეს დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ.

ომის ფსიქოზის გავლენით

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო (საქდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს ცნობით, გუშინ თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განკარგულება გასცა გადიდდეს ამერიკის შეერთებული შტატების გარნიზონი დასავლეთ ბერლინში.

როგორც იუწყებიან, პირველი მებრძოლი ჯგუფი დაახლოებით 1500 კაცის რაოდენობით, 20 აგვისტოს ჩავა იქ.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

ბუნდესტაგი თათბიროზს...

ბონი, 18 აგვისტო. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის სხდომა, რომელიც მოიწვიეს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა, რათა აღეკვეთოს ძირგამომთხრელი საქმიანობა დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. სხდომაზე გამოვიდნენ ბონის კანცლერი ადენაუერი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა პოლიტიკური მოღვაწეები, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი ბრანდტი.

კანცლერმა ცილი დასწამა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მან განაცხადა, რომ „კანონიერი არ არის" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ რესპუბლიკის უშიშროების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებანი. მან აგრესიული სულისკვეთებით განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა შემდგომ სამხედრო ღონისძიებათა განხორციელებაში ნატოს ქვეყნებთან ერთად.

დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრის ბრანდტის გამოსვლასაც ომის გამჩაღებლური და წამქეზებელი კილო ჰქონდა.

ლ. ჯონსონი მიემგზავრება...

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (საქდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა სელინჯერმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონი დღეს მიფრინავს დასავლეთ ბერლინსა და ბონს როგორც პრეზიდენტ კენედის პირადი წარმომადგენელი. ვიცე-პრეზიდენტი შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ადენაუერს და დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრ ბრანდტს.

უპასუხა რა კითხვაზე ამ მოგზაურობის მიზნების შესახებ, სელინჯერმა თქვა, პრეზიდენტს საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ მომენტში ვიცე-პრეზიდენტი გაემგზავროს გერმანიაში და ადგილობრივ გაეცნოს ვითარებას. სელინჯერმა განაცხადა, რომ ჯონსონის გამგზავრება „ცხადყოფს" ამერიკის შერთებული შტატების ინტერესს ბერლინის ამბებისადმი.

ფარიდა ფაჰმი —ნილოსის ტალღა

თბილისში არაბეთის ეროვნული ანსამბლების კონცერტების გამო

რამდენიმე წლის წინათ მომიხდა ყოფნა ნაცნობ არაბულ ქვეყნებში და, კერძოდ ეგვიპტეში, სადაც საშუალება მომეცა მენახა მშვენიერი ეგვიპტური ხალხური ცეკვები. ამასთან ისეთ ვულგარულ ცეკვებსაც შევსწრებივარ, რომლებსაც დასავლეთელ მდიდარ ტურისტთა თვალგასართობად წარმოადგენენ ხოლმე და რომლებსაც ნამდვილ ხელოვნებასთან არაფერი აქვს საერთო.

ბუნებრივია, გარკვეული ცნობისმოყვარეობით გავეცანი თბილისში ჩამოსულ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხური ცეკვების ანსამბლის ძიერ შედგენილ პროგრამას, მით უმეტეს, რომ იგი პირველი კოლექტივია, რომელმაც მოსკოველ, ლენინგრადელ და თბილისელ მაყურებელს საშუალება მისცა ენახათ ეგვიპტური ხალხური ცეკვები.

ანსამბლი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. იგი ჩამოყალიბდა ორი წლის წინათ კაიროში. მის შემადგენლობაში ძირითადად შედიან კაიროს უნივერსიტეტის სტუდენტები. ანსამბლის პირველი სოლისტი შესანიშნავი მოცეკვავე ფარიდა ფაჰმი კაიროს უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტია.

ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია მაჰმუდ რიდა. ცეკვების მუსიკა ეკუთვნის ახალგაზრდა კომპოზიტორ ალი ისმაილს, რომელიც თვითონვე ხელმძღვანელობს ანსამბლის ორკესტრს.

ანსამბლის ხელმძღვანელს და მთელ კოლექტივს მიზნად დაუსახავთ მაყურებელს უჩვენონ არა მარტო ეგვიპტელთა ცეკვები, არამედ ეროვნული ადათ-ჩვევანი და ქორეოგრაფიული ხელოვნების ენით გადმოსცენ ეგვიპტელი ხალხის სწრაფვა პროგრესისა და ბედნიერებისაკენ.

სწორედ ამ აზრით არის გამსჭვალული ანსამბლის მიერ წარმოდგენილი ცეკვები: „ნილოსი — ჩვენი მარჩენალი", „რამადანი", „არშიყობა სოფლად", „ჯადოსნური სალამური", „მოსავლის ზეიმი", „შარბათის გამყიდველი"...

უთუოდ მოწონების ღირსია კომპოზიტორ ალი ისმაილის მუსიკა, რომელიც აღსავსეა ეგვიპტის ეროვნული ჰანგებით.

მისასალმებელია ანსამბლის ხელმძღვანელის მაჰმუდ რიდას და პირველი სოლისტის ფარიდა ფაჰმის სწრაფვა არ გაჰყვნენ იაფფასიან კაფეშანტანურ ეფექტს და ეთნოგრაფიული ზომიერების ფარგლებში ჩააყენონ ეგვიპტელ ქალთა ეროვნული ცეკვებისათვის დამახასიათებელი მოძრაობანი.

ანსამბლის მიერ წარმოდგენილმა პროგრამამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ქართველი მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

შ. კურდღელაშვილი.

• • •



სურათებზე: (მარცხნივ ზევით) ცეკვავენ ფარიდა ფაჰმი და მაჰმუდ რიდა, (ქვევით) ცეკვა „არშიყობა სოფლად". (მარჯვნივ) ქალთა ცეკვა.

ფოტო ბ. დადვაძისა და გ. გოგოხიასი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მრუდე სარკეში

ა. ფევრალსკის წიგნის გამო.

✦

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვის გამომცემლობა „ისკუსტვომ" გამოსცა თეატრმცოდნისა და თეატრის ისტორიის მკვლევარის ა. ფევრალსკის ნაშრომი „რუსთაველის სახელობის თეატრი". თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. შვანგირაძისა და შ. აფხაიძის მოკლე ნარკვევს ამ თეატრზე, საბჭოთა თეატრმცოდნეობაში ფევრალსკის წიგნი საერთოდ პირველია, რომელშიც ვრცლად არის მიმოხილული დიდძალი ისტორიული მასალა.

უნდა მივესალმოთ ამგვარი წიგნის გამოსვლას, საყურადღებო მოსაზრებათა გვერდით მრავალი ისეთი შეცდომა რომ არ იყოს დაშვებული, რაც არასწორად წარმოგვიდგენს ამ დიდი თეატრის შემოქმედების კარდინალურ საკითხებს.

ცნობილია ის განსაკუთრებული როლი, რომელიც კ. მარჯანიშვილმა საერთოდ ქართული თეატრის და, კერძოდ, რუსთაველის თეატრის რეფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში შეასრულა.

ა. ფევრალსკის შეხებული აქვს კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის მთელი მნიშვნელობა და სათანადო ადგილსაც მიუზღავს თავის წიგნში, სადაც დიდი ქართველი რეჟისორის საერთო მოღვაწეობა პრინციპულად სწორად არის გაშუქებული. მაგრამ პირველივე, შედარებით უკეთ დაწერილი თავი („საბჭოთა თეატრის მშენებლობის დასაწყისი") მრავალი წინააღმდეგობით არის სავსე.

წიგნის ავტორი დამსახურებისამებრ მიუზღავს კ. მარჯანიშვილის წარსულ რეჟისორულ მოღვაწეობას რუსეთის სცენაზე, მის დიდ გარდაქმნებს ქართულ თეატრში, მისი შემოქმედების სოციალურ და რევოლუციურ პათოსს და შემდეგ სათანადო ფაქტიური მასალის მოუშველიებლად გვაწვდის ამგვარ მოსაზრებებს: „...მის ძიებებში ზოგჯერ ისმოდა რევოლუციამდელი პერიოდის ესთეტიზმის გამოძახილი". სხვაგან: „ამასთანავე აქაც (ლაპარაკია ახალი სცენური სტილის ჩამოყალიბებაზე) ზოგჯერ ვლინდებოდა ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ბურჟუაზიული გავლენანი. ყოველივე ეს გამოიხატებოდა ესთეტიზმის, ფორმალური ზედმეტობისადმი, ექსპრესიონიზმისადმი მისწრაფებებით".

კ. მარჯანიშვილის რევოლუციამდელი პერიოდის ესთეტიზმი აქ წარმოდგენილია ისეთი მძლავრი სახით, რომელსაც თავისი ძალა თურმე საბჭოთა ეპოქაშიც არ დაუკარგავს. ეს არის გამეორება და დადასტურება იმ მცდარი აზრისა, რომელიც გამოთქმული იყო 1954 წელს გამოცემულ წიგნში („რუსული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის ნარკვევები"), ჩვენმა საზოგადოებამ სამართლიანად რომ შერაცხა ერთ-ერთ უვარგის წიგნად.

ახლა შევეხოთ რეჟისორ ს. ახმეტელის მოღვაწეობის პერიოდს. ეს ხანა (1925-1935 წლები) ავტორს საკმაოდ რიხიანი სათაურით გამოუყვია „დიდი მიღწევები და დიდი შეცდომები". მაგრამ ამ განყოფილების ძირითადი მიზანია არა თეატრის მიღწევათა მართებული ანალიზი, არამედ ს. ახმეტელის შეცდომების გაზვიადებული, ყოვლად მიუღებელი „კრიტიკა". ა. ფევრალსკის დიდი შეცდომაა ისიც, რომ იგი ნებსით თუ უნებლიეთ ერთმანეთს უპირისპირებს კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს, თითქოს ეს უკანასკნელი „თეატრის მოღვაწეობის საზოგადოებრივ ხასიათს ნაკლებად უწევდა ანგარიშს (გვ. 131), თავის ძიებაში მოწყვეტილი იყო „პიესათა საზოგადოებრივ შინაარსს" (გვ. 147) და ამდენად აგრევდა იმას, რასაც მასზე ადრე აკეთებდა მისი დიდი წინამორბედი.

გამოდის, რომ ს. ახმეტელი იდეოლოგიურად სხვა საზოგადოებრივ პოზიციებზე იდგა, ვიდრე კ. მარჯანიშვილი, რომ ახმეტელის მოღვაწეობის დროს რუსთაველის თეატრმა საზოგადოებრივი შინაარსი დაკარგა. „თავის დროზე მარჯანიშვილმა გაათავისუფლა ქართული თეატრი იმ შეზღუდულობისაგან, რომელიც ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის გადმონაშთი იყო და რომელიც არსებობდა სცენის მოღვაწეთა უნებასურვილოდ. ახლა კი ახმეტელმა, რომელიც ძველ ქართულ თეატრს უარყოფდა, რუსთაველის სახელობის თეატრი მაინც დააყენა ახალი შემოზღუდვის, ეროვნული კარჩაკეტილობის საფრთხის წინაშე, იმ საშიშროების წინაშე, რომ თეატრი ეთნოგრაფიზმის ვიწრო ჩარჩოებში მოემწყვდია, მთლიანად განეცალკევებინა საბჭოთა თეატრისაგან და ნაციონალისტური სულისკვეთებით გაეჟღინთა იგი".

მეორე ადგილას იგი წერს, რომ ახმეტელისათვის უმთავრესი იყო თეატრის ეროვნული სტილის გამომუშავება (გვ. 146), რომ მარჯანიშვილისათვის დამახასიათებელი იყო იმგვარი ძიებანი, რომლებიც უკავშირდებოდნენ პიესათა საზოგადოებრივ შინაარსს — „ახმეტელისათვის, კი ხშირად ეროვნული სტილის ძიებანი არსებითად თვითმიზნური იყო, ხოლო რეპერტუარი საბაბი ამ ძიებათათვის. ამოსავალ წერტილად აღებული იყო არა ცხოვრება, არა საბჭოთა სინამდვილე, არა პიესათა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შინაარსი, არამედ ესთეტიკური ხასიათის მოსაზრებანი" (გვ. 147-148).

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ შრომა დაწერილია ამ 10-15 წლის წინათ, რადგან ასე წერა ს. ახმეტელზე დღეს სრული გაუგებრობაა. დაუჯერებელია, მაგრამ სწორედ ასე წერია ფევრალსკის წიგნში: „მის კონცეპციებში, მის შემოქმედებით პრაქტიკაში ობიექტურად ვლინდებოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის ტენდენციები" (გვ. 127). ამ უაღრესად მცდარი დებულების შემდეგ ა. ფევრალსკი მიდის ასეთ დასკვნამდე: „თეატრის ხელმძღვანელად იმ კაცის დატოვებას, რომელიც უარს ამბობდა გადაეთვალიერებინა თავისი მცდარი პოზიციები, შეეძლო თეატრი მიეყვანა სრულ იდეურ-შემოქმედებით ჩავარდნამდე და საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან გათიშვამდე. ამიტომ 1935 წლის 13 სექტემბერს ახმეტელი განთავისუფლებულ იქნა რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობისაგან" (გვ. 171).

ასე რომ ა. ფევრალსკიმ ნებსით თუ უნებლიეთ გაიმეორა ის ცნობილი ბრალდებანი, რომლებიც აწ მხილებული მტრების მიერ იყო შეთითხნილი. სამწუხაროდ, ამგვარ მცდარ პოზიციაზე მარტო ა. ფევრალსკი როდია. აქა-იქ კიდევ არიან (მაგალითად, გოიანი, რომელმაც ჟურნალ „ტეატრში" დაბეჭდა სტატია) ცალკეული ადამიანები, რომლებიც ვერ განთავისუფლებულან წარსულის მცდარ შეხედულებათაგან.

გავარკვიოთ, როგორ ესმოდა ახმეტელს ქართული საბჭოთა თეატრის გზა, რა იდეურ საფუძვლებზე უნდა აშენებულიყო იგი?

ს. ახმეტელის მთავარი დებულებანი ასეთი იყო: „ჩვენი თეატრის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ გამონახულ იქნას კომუნიზმის იდეების გამომხატველი ეროვნული ფორმა". სოციალისტური სინამდვილის შედეგად შეიქმნა დიდი კულტურული ღირებულებანი, — აღნიშნავდა ს. ახმეტელი, — რომლებიც ხალხში იყო ჩამარხული, და შესაძლებელი გახდა შექმნილიყო ნამდვილი საბჭოთა ეროვნული თეატრი — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური". ამგვარად გაისმა ახმეტელის სიტყვები 1933 წლის 3 ივნისს ვახტანგოვის თეატრის სცენიდან: „ჩვენი ყველაზე დიდი მასწავლებელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრებაა". ორიოდე წლით ადრე მან ჟურნალ „სოვეტსკი ტეატრში" გამოაქვეყნა წერილი „რუსთაველის სახელობის ქართული თეატრი". ახმეტელი, როგორც საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი, აღტაცებული წერდა: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეეძლო რუსთაველის სახელობის თეატრს წარმოშობა და განმტკიცება... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე თეატრში შემოდის ახალი ნაკადი, ახალი მუშა მაყურებელი, კომკავშირელი... წითელარმიელი. სწორედ ამათ შექმნეს და შეადგინეს ის ახალი, ნორჩი, მხნე, ხალისიანი საზოგადოება".

თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე მანძილზე ახმეტელმა დადგა ისეთი რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე პიესები, როგორიც არის „ანზორი", „რღვევა", „ქართა ქალაქი". ამ დროს თეატრის სცენიდან თანამედროვეობის სულისკვეთებით აჟღერდა: „ზამუკი", „განგაში", „ინტერვენცია", „საჭე მარცხნივ" და სხვები. რეჟისორი შილერის „ყაჩაღების" დადგმასაც კი თანამედროვე ეპოქის მსოფლმხედველობას უდებდა საფუძვლად. 1926-1935 წლების რეპერტუარის თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი გატაცებით მუშაობდა ს. ახმეტელი, რათა სწორად აესახა საბჭოთა სინამდვილე, სრულყოფილად გამოეხატა ჩვენი ეპოქის გმირული სული, ხალხის რევოლუციური ოპტიმიზმი.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცულია ს. ახმეტელის მიერ შედგენილი 1928-1929 წლების სეზონის რეპერტუარი. შესავალ ნაწილში მოკლედ არის მოხაზული, თუ რა პრინციპზე უნდა აიგოს რეპერტუარი და მაშასადამე თეატრის მუშაობა.

„მომავალი სეზონის რეპერტუარი, — წერდა იგი, — სავსებით უნდა ემყარებოდეს იდეოლოგიურად გამართულ თანამედროვე პიესებს". და შემდეგ „მომავალი სეზონის მთავარ ამოცანას შეადგენს: მუშა მაყურებლის ორგანიზაცია და ამ მაყურებლისათვის იდეოლოგიურად გამართლებული რეპერტუარის შექმნა". ასე რომ ს. ახმეტელის მთელი შემოქმედება გამსჭვალული იყო მაყურებლის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის სულისკვეთებით.

ა. ფევრალსკის განცხადება, რომ ს. ახმეტელმა თითქოს „ეროვნული კარჩაკეტილობის წინაშე დააყენა რუსთაველის თეატრი", სრული უაზრობაა. ს. ახმეტელი, იბრძოდა რა ქართული ორიგინალური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების დადგმისათვის, ამასთანავე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსულ საბჭოთა დრამატურგიას. 1926-1935 წლების რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანია. იგი შორს დგას კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობისაგან, პირიქით, ინტერნაციონალიზმით არის გამსჭვალული. ს. ახმეტელის ხელმძღვანელობის პერიოდში ქართული პიესების გვერდით თეატრმა დადგა: ა. გლებოვის „ზამუკი", ბილ-ბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ". მ. ვენეციანოვის „ჯუმა-მაშიდი", ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს", ს. იანოვსკის „ყამირი", ა. სლავინსკის „პროტესტი", ბ. ლავრენევის „რღვევა"... განა ეს არის კარჩაკეტილობა და საბჭოთა სინამდვილისაგან მოწყვეტა? ან როგორ შეიძლება ასეთი სარეპერტუარო პოლიტიკის გამტარებელს ნაციონალისტი ან კარჩაკეტილი უწოდო? ს. ახმეტელმა ა. ფევრალსკიზე ბევრად უკეთ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ნაციონალისტური კარჩაკეტილობა, და ამიტომ ამბობდა: „მთელი ჩვენი მუშაობა შემცდარი იქნება, ჩვენ დავმარცხდებით, თუ ჩვენს ნაციონალურ ფორმაში გაუგებარი დავრჩებით... ჩვენი მიზანია მასების ინტერნაციონალურად აღზრდა. თუ ნაციონალური ფორმა ხელს უწყობს სოციალისტური შინაარსის დანერგვას, თუ იგი ეხმარება ინტერნაციონალურ აღზრდას, მაშინ ჩვენი ხაზუშევარი გამართლებულია".

აი რა ჯანსაღად ესმოდა ს. ახმეტელს ქართული საბჭოთა თეატრის ამოცანა. „ეროვნული თეატრი, — წერდა იგი, — უპირველესად და უმთავრესად ეყრდნობა შინაგან წყაროებს და ამ წყაროებს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ საერთო, საკავშიროც".

ა. ფევრალსკის არაობიექტურობამ კი ზღვარი არ იცის. მართალია, იგი აღიარებს, რომ ახმეტელის სპექტაკლებს „ანზორს", „რღვევას", „ყაჩაღებს" უდიდესი წარმატება ხვდა, რომ ამ სპექტაკლებმა დიდი როლი შეასრულეს რუსთაველის თეატრის სახის ჩამოყალიბებაში და ისინი დიდი საზოგადოებრივი იდეების მატარებელნი იყვნენ, მაგრამ აქაც იგი ეძებს ახმეტელის იდეოლოგიურ შეცდომებს. სპექტაკლის ყოველი მხატვრული ნაკლი მას ქცეული აქვს იმგვარ პოლიტიკურ ლაფსუსად, რომელსაც ახმეტელი თითქოს გაგებ უშვებდა. თავისი წიგნის 155 გვერდზე ა. ფევრალსკი წერს: „მსახიობებმა და ახალგაზრდა რეჟისორებმა იშუეს თავისი უთანხმოების გამოთქმა თეატრის მუშაობაში არსებული ნაციონალისტური და ფორმალისტური ტენდენციების წინააღმდეგ, ისინი მოითხოვდნენ საბჭოთა და კლასიკური პიესების დადგმას, ისწრაფოდნენ რათა თეატრს ბიძგი მიეცა ქართული დრამატურგიის ზრდისათვის".

ყველა ობიექტური ადამიანი აღიარებს, რომ აქ საქმის არსებითი ვითარება თავდაყირაა წარმოდგენილი. ავტორს მხედველობაში აქვს 1930 წლის სეზონი. ჯერ-ერთი, ახმეტელს ამ დროისათვის უკვე დადგმული ჰქონდა „რღვევა" და „ანზორი", ე. ი. თეატრის მიმართულებისა და იდეური მიზანსწრაფვის სპექტაკლები, რომლებიც ნაციონალისტური და ფორმალისტური ტენდენციების ნასახსაც არ შეიცავდნენ, მეორე მხრივ, სწორედ ამ პერიოდში წარმოებდა დაძაბული მუშაობა ქართველ საბჭოთა დრამატურგებთან და მომდევნო სეზონში დადგმული სპექტაკლებიდან უკლებლივ ყველა თანამედროვე ქართული პიესა იყო (ა. მაშაშვილის „განგაში", ს. შანშიაშვილის „სამნი", მ. დადიანის „თეთნულდი", პ. სამსონიძის „სალტე"). ყველა ეს პიესა უაღრესად მახვილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებს ეხებოდა, ყურადღების ცენტრში თანამედროვეობის პრობლემებს აქცევდა.

ა. ფევრალსკი წერს: „თეატრი აღმოჩნდა ეთნოგრაფიზმის ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდევის... საფრთხის წინაშე." გაზეთი „პრავდა" კი გარკვევით აღნიშნავდა: „ახმეტელმა იცის დრამატურგიული და აქტიორული მასალის ისე გამოყენება, რომ იგი ეთნოგრაფიაში არ ვარდება". რატომ ჩქმალავს ა. ფევრალსკი იმას, რაც საუკეთესო იყო ს. ახმეტელის ხელოვნებაში? იგივე „პრავდა" „ანზორის" გამო წერდა, რომ ეს სპექტაკლი „ეკუთვნის ისეთ სპექტაკლთა რიცხვს, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ ფორმულას: „ფორმით ეროვნული და შინაარსით პროლეტარული". აკადემიკოსი ნ. დერჟავინი სიამაყით ამბობდა, ჩვენ რუსთაველის თეატრით შეგვიძლია მთელი მსოფლიოს წინაშე ვიამაყოთო. ასე გაიტანა მსოფლიო ასპარეზზე ს. ახმეტელმა ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის სახელი. ასე სიამაყის გრძნობით წერდნენ ახმეტელის შემოქმედების დიდ იდეურ ძლიერებაზე საბჭოთა ქვეყნის ცენტრალური და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე საზღვარგარეთის პროგრესული პოლიტიკური და თეატრალური მოღვაწენი. და ახლა რა მოელანდათ ა. ფევრალსკისა და მის თანამოაზრეებს, ასე გატაცებით რომ ცდილობენ როგორმე დაამცირონ ს. ახმეტელის ნამდვილად დიდი, საბჭოთა იდეებით შთაგონებული ხელოვნება, რათა გამოთიშონ იგი ქართველი ხალხის მაღალიდეური თეატრალური კულტურის ისტორიიდან?! ეს უმართებულოა, სინამდვილის საწინააღმდეგოა.

ნ. გურაბანიძე,
ვ. კიკნაძე.

საკვირაო გვერდი
კომუნისტი

ბედნიერებას არ იპარავენ

საყოფაცხოვრებო თემაზე

✦

ნატო ზანდუკელი დათოვლილ ბილიკზე გარბოდა, უხაროდა გოგონას... მიფრინავდა ჩიტივით. ხანდახან მღეროდა, ილიმებოდა. მოსახვევში შაშვმა რომ დაიჭიყვინა, ალერსით გასძახა:

— ოქროს ნისკარტი, ჩიტო, შენ პირს შაქარი...

ოჯახშიც განსაკუთრებით განიცდიდნენ ნატოს ამბავს:

ჭკვიანად იყავი, ხალხს თავი შეაყვარე, ფულს გაუფრთხილდი, ყელი არ გამოგვჭრა, — ეუბნებოდა დედა.

— მთავარია ხალხთან მიდგომა, წესიერი სიტყვა-პასუხი, ზრდილობა, — კვერს უკრავდა მამა.

ტკბილად ივახშმეს, ისაუბრეს და დასაძინებლად დაწვნენ; ნატოს კი თვალი არ მოუხუჭავს. ეს ალბათ პირველი უძილო ღამე იყო მის ყმაწვილქალობაში. დამთავრდა უდარდელი ბავშვობა. ხვალიდან ის არაგვისპირის სოფლის მაღაზიის გამყიდველი იქნება.

მაღაზიის გადაბარება დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი გამგე მაყვალა ხახიაშვილი, რომელიც იმ დღიდან შვებულებაში მიდიოდა, განსაკუთრებული ალერსით ექცეოდა ახალბედა ნატოს, ამხნევებდა, აიმედებდა, — მაღაზიის გამგეობა არც ისე ძნელია, ოღონდ კაცს მარიფათი და შნო ჰქონდესო. მოკლე ხანში გადაწონეს შაქარი, მარილი და სხვა საქონელი. ჯერი ფართალზე მიდგა. მაყვალა ისე მოხდენილად ატრიალებდა მეტრიანს, ისე სწრაფად ზომავდა ფართალს, რომ ნატოს ოდნავ შემურდა კიდეც. ბოლოს სოფლის კოოპერატივის გამგეობის წარმომადგენელმა, რომელიც გადაბარებას ესწრებოდა, მიღება-გადაბარების აქტი შეადგინა და საქმე ამით დამთავრდა.

დუქანში საღამო ხანს ძია შაქრო შემოვიდა. ტკბილი სიტყვით მოიკითხა ახალი ნოქარი და შეკერილ ტანსაცმელს დაუწყო თვალიერება. მერე შარვლის გასინჯვა ისურვა.

ნატომ შავი ფერის შარვალს ჯაგრისი გადაუსვა და შაქროს მიაწოდა.

მოხუცმა შარვალს ახედ-დახედა, ტანზე მიიზომა და სიცილით თქვა:

— არა, შვილო, რა დროს ჩემი „ბუტილკა" შარვალია, ჩვენებურმა ბიჭებმა რომ დამინახონ, „სტილიაგას" შემარქმევენ. იქნებ ჩემი შესაფერი შარვალი მოატანინო, შენს გაზრდას.

ასე დაიწყო ნატო ზანდუკელის პირველი სამუშაო დღე დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირის მაღაზიაში. სამუშაო საინტერესო გამოდგა. ისიც ცდილობდა მომხმარებელთა გულის მოგებას, მათთვის საჭირო საქონლის მოტანას. თვითონ კოლმეურნის შვილმა კარგად იცოდა სოფლის მშრომელთა საჭიროება. სოფელმაც შეიყვარა თავაზიანი და შრომისმოყვარე გოგონა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ. ერთი თვის შემდეგ, როცა არაგვის ხეობაში დასავლეთის ქარი მგელივით ღმუოდა, ნატო ნელი, დაქანცული ნაბიჯებით უახლოვდებოდა სახლს. მეზობლებს უკვირდათ: — ეს გოგო ასე ვინ გაამწარაო, მაგრამ ვერაფერს ეკითხებოდნენ. ბოლოს სახლში ნატომ დედა რომ დაინახა, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და ერთბაშად ქვითინი ამოუშვა.

ოჯახის წევრები შეშინებულნი შემოეხვივნენ ნატოს და დიდი ხვეწნის შემდეგ, როგორც იქნა ათქმევინეს, დღეს მაყვალა ხახიაშვილი შვებულებიდან დაბრუნდა, მაღაზია გადავაბარე და 2.500 მანეთი დამაკლდაო.

ოჯახის წევრებს ძილი და მოსვენება გაუქრათ, ნატოს დარდს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. იგი მოზრდილი ქალი იყო და იცოდა, კანონი არ ხუმრობს, შესაძლოა ციხეშიც მოუხდეს ყოფნა და მერე სადღა გამოყოს თავი. მხოლოდ ერთი რამ ვერ გაეგო ნატოს, საიდან დააკლდა 2.500 მანეთი, მას ხომ ნავაჭრიდან ერთი კაპიკიც არ დაუხარჯავს. მაშ რაშია საქმე? იქნებ მაღაზია ვინმე ბოროტმა ჩუმად გაუქურდა, იქნებ ვისმე რაიმე გადააყოლა, იქნებ... მაგრამ ამ კითხვებზე პასუხი ვერ ეპოვნა, ერთ კვირაში ლამაზი გოგონა ჩამოხმა და ლანდს დაემსგავსა.

— ვაიმე, შვილო! — ხშირად ამოიგმინებდა ხოლმე ნატოს დედა ნინო, კარგი დღე არც მამას იოკიმეს ადგა. დაღონებული იყვნენ ოჯახის დანარჩენი წევრებიც. ყინვალის სოფლის კოოპერატივის გამგეობაში ბევრს არ სჯეროდა ნატოს დანაშაული, მაგრამ კანონს წინ ვინ აღუდგებოდა, გადაბარების აქტი მალე პროკურატურაში უნდა გადაეგზავნათ. თვალცრემლიანი ნატო გამგეობის თავმჯდომარეს აქაზ შაბურიშვილს ეფიცებოდა, დამნაშავე არა ვარო. მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასეთ გოგონას, რომელიც ვაჭრობაში კომკავშირული საგზურით გაგზავნეს, შეეძლო დანაშაულის ჩადენა. მაშ ვინ არის დამნაშავე? მაღაზიაში ხომ დანაკლისია. იქნებ მაყვალა ხახიაშვილს აქვს ცოდვა ჩადენილი, მაგრამ, როგორ, როცა ნატო ზანდუკელს, ყველაფერი თვლით აქვს ჩაბარებული მაღაზიის გადაბარებისას. იქნებ შეცდომა დაუშვეს საქონლის აღწერის დროს?

ამხანაგები დაინტერესდნენ ამ საქმით. არაგვისპირის მაღაზიაში სპეციალური დავალებით გაგზავნეს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ივანე მარწყვაშვილი. ივანეს ეჭვი ჰქონდა, რომ ხახიაშვილმა გადაბარებისას მოატყუა ზანდუკელი, „მიუთვალა" იმდენი საქონელი, რაც მას არ გააჩნდა. ხახიაშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: — რას ბრძანებთ, 1 დეკემბერს ზანდუკელს მაღაზია რომ გადავაბარე, არავითარ მოტყუებას და დამახინჯებას ადგილი არ ჰქონია, ცილსა მწამებთ, — ამბობდა იგი.

დასაჯერიც იყო. გადაბარებას ხომ მარტო ნატო ზანდუკელი არ ესწრებოდა, მასთან ერთად გამგეობის წარმომადგენელიც იყო. ასე რომ ძნელი დასაჯერებელია ხახიაშვილს შეცდომაში შეეყვანა ორი ადამიანი.

მარყუჟი მაგრად იყო განასკვული, და მისი გახსნისთვის საჭირო გახლდათ არა მარტო უბრალო დოკუმენტების, ცნობებისა თუ სხვა ქაღალდების ანალიზი, არამედ ორი ადამიანის ხასიათის, მათი მორალის გათვალისწინება, განსაკუთრებული ინტუიცია, სხვანაირად შეიძლებოდა ქაღალდების ტყვეობაში მოხვედრა, სიმართლის დამახინჯება.

სასწორზე იდო ორი ადამიანის ბედი.

ამხანაგების ყურადღება მიიპყრო აბრეშუმის ქსოვილის ორმა ნაჭერმა, რომლებიც კარგა ხანია მაღაზიაში ეწყო.

გადაბარების აქტში აღნიშნული იყო, რომ ზანდუკელმა ხახიაშვილისაგან ჩაიბარა 140 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, ხოლო ხახიაშვილის შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მაღაზიაში აღმოჩნდა მხოლოდ 94 მეტრი აბრეშუმი.

— ამ ქსოვილიდან გაყიდე რამე? — შეეკითხა ნატოს გამგეობის თავმჯდომარე.

— არც ერთი მეტრი.

— მაშ, სად წავიდა დანარჩენი?

— არ ვიცი, — იყო პასუხი.

გამგეობის თავმჯდომარე შაბურიშვილის გონებაში ახალმა აზრმა გაიელვა. მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ კანტორაში დაბრუნების შემდეგ მოითხოვა მაღაზიის აღწერის აქტები. ჰქონდა თუ არა მაშინ მაღაზიას აბრეშუმის ქსოვილი და რამდენი? — იკითხა მან.

—სულ აღწერაში ნაჩვენებია 102,8 მეტრი აბრეშუმი.

— აღწერის შემდეგ ხახიაშვილს მიღებული აქვს თუ არა ამგვარი საქონელი?

— არა.

— საოცარია, როგორ გადაიქცა 102 მეტრი 140 მეტრად! — თქვა შაბურიშვილმა.

გამოუძახეს ხახიაშვილს, რომელსაც სახეზე ნერვიულობა ეტყობოდა, მაგრამ ინტიბარს მაინც არ იტეხდა. თავმჯდომარემ გამჭვალავი თვალით შეხედა მას და მღელვარება რომ დაეფარა, ჩვეულებრივზე დაბალი ხმით შეეკითხა:

— როდის გადააბარე მაღაზია ზანდუკელს?

— შარშან 1 დეკემბერს.

— თუ გახსოვს, რამდენი მეტრი აბრეშუმი გადააბარე მას?

— 140 მეტრი.

— შენი მაღაზია აღწერეს გადაბარებამდე ოცი დღით ადრე და მაშინ მხოლოდ 102,8 მეტრი აბრეშუმი გქონდა, საკითხავია, საიდან ჩააბარე ზანდუკელს 140 მეტრი, როცა საწყობიდან ასეთი საქონელი არ მიგიღია. თქვი სიმართლე.

მაყვალა ხახიაშვილის ლოყებს სიწითლე შეეპარა, მაგრამ წინასწარ მომზადებული პასუხი მაინც რიხით წარმოთქვა:

— მოქალაქე გობორიძეს, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ჩემი ფული ემართა და ფულის მაგივრად აბრეშუმის ქსოვილები მომიტანა.

— გობორიძის მისამართი იცი?

— სამწუხაროდ, არა.

— სამწუხარო ის არის, ასე უტიფრად რომ სტყუი, — ველარ მოითმინა აქაზ შაბურიშვილმა, — ახლა ჩვენ ყველანი მივხვდით, რომ შენ ორჯერ ჩაიდინე ასეთი სისაძაგლე. შარშან 23 ივნისს აღწერის დროს აბრეშუმის ქსოვილის ნაშთი ხელოვნურად გაზარდე 98 მეტრით, ხოლო ზანდუკელისათვის მაღაზიის გადაბარების დროს კვლავ ითვალთმაქცე, ხელის სწრაფი მოძრაობით გამოუცდელ გოგონას 90 მეტრი 140 მეტრად მოაჩვენე. თქვი, მართალი ვარ თუ არა?

ახლა კი იკადრა მაყვალამ თავის დახრა. ასეა, სიმართლეს ვერსად გაექცევი, ხახიაშვილმა გამგეობას პატიება სთხოვა და 2.500 მანეთი დანაკლისი (ძველი ფულით) დაფარა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გახარებული ნატო კვლავ გარბოდა არანისის ბილიკებზე. ლურჯ ზეცაზე ადრეული გაზაფხულის მზე ანათებდა. გაზაფხული იდგა ნატოს გულშიც. მირბოდა და ფიქრობდა, როდის მიიტანდა მაღაზიაში ისეთ შარვალს, ძია შაქროს რომ დაჰპირდა?

მაყვალა?

საკადრისი სასჯელი მიიღო, კარგა ხანია მაღაზიას მოაშორეს.

აქ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა, მაგრამ როგორ შეიძლება საქებარი სიტყვა არ ვთქვათ იმათ მიმართ, ვინც ასეთ გულისხმიერებას იჩენს ადამიანებისადმი. ვინც იბრძვის სიმართლისათვის, საბჭოთა მორალის ზეიმისათვის.

რაც შეეხება მაყვალასთანა ტიპებს, მათ გასაგონად ვიტყვით; ჩვენს ქვეყანაში ბედნიერებას არ იპარავენ.

ა. თომაძე.

ხელოვნების ქრონიკა

„მზიურა"

ქუთაისი. (საკ. კორ.). პატარების დიდი სიყვარულით სარგებლობს ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი. ამ დღეებში თეატრმა ნორჩ მაყურებელს უჩვენა რ. ლეზგიშვილის პიესა „მზიურა". დადგმა განახორციელა თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შენგელიამ. მუსიკა ეკუთვნის გ. ჩირაძეს.

გასტროლებზე ონში

ონი. (საკ. კორ.). საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კოლექტივი ქალაქ ონსაც ეწვია. ხელოვნების თაყვანისმცემელ ონელ მაყურებლებში დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხურმა სიმღერებმა („ჩელა", „კოლხეთის ტურფა ქალები", „არწივი", „სიმონა დოლიძე", „დაიგვიანეს", „მწყემსური"), ცეკვებმა („განდაგან", „ყაზბეგური", „ნეტავი გოგო მე და შენ") და სხვ.

ანსამბლმა კონცერტი გამართა აგრეთვე კურორტ შოვში.

„ვერაგობა და სიყვარული" აბაშის სცენაზე

აბაშის რაიონულ კულტურის სახლში ამ დღეებში კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა აბაშელ მშრომელებს უჩვენა ფ. შილერის ტრაგედია „ვერაგობა და სიყვარული", პიესა „ნანა" და სხვ.

ივ. თოფურია.

ახალი კინოთეატრი

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში მეშახტეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — ლ. კეცხოველის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ნაგებობა — საზაფხულო კინოთეატრი. იგი როგორც შიგნით, ისე გარეთ ლამაზად არის გაფორმებული. მაყურებელთა დარბაზი 400 კაცს იტევს.

ჩეხის გული

ამას წინათ ქართველ ტურისტთა ჯგუფი პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა. პოლონეთის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებისა და ბევრი საინტერესო შეხვედრების შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში წავედით.

ქალაქ პრაღაში გულთბილი საღამო გაგვიმართა ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტმა. ამ საღამოზე გავიცანი მოტოციკლეტების ქარხანა „იავას" დირექტორი ბოგუმილ ლოსი, რომელმაც საინტერესო ამბავი გადმოგვცა.

ცნობილ სპორტსმენ ჩიჟეკთან ერთად ლოსი 1958 წელს თბილისში ყოფილა და ჩვენს დედაქალაქს კარგად იცნობს. ტკბილად მოიგონა თბილისში გატარებული დღეები, გულთბილი შეხვედრები, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა.

ლოსმა მოიგონა ერთი სამწუხარო შემთხვევაც. მან დიდი ინტერესით გამოიკითხა 1958 წელს „ქარიშხალას" სტადიონზე მოტორბოლის დროს დაშავებული პატარა ბიჭის ამბავი.

მკითხველთათვის გასაგები რომ გახდეს, მოგითხრობთ დაწვრილებით:

1958 წლის 25 ოქტომბერს თბილისში „ქარიშხალას" სტადიონზე ეწყობოდა მოტორბოლა ევროპის პირველობაზე. ამ შეჯიბრებაში ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაც მონაწილეობდა. როგორც ზოგი ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, ჩიჟეკი თავიდანვე დაწინაურდა და თითქმის ერთი სრული წრით უსწრებდა დანარჩენებს. ჩიჟეკს წმინდა გამარჯვებისათვის დარჩენილი ჰქონდა ერთი წრე, მაგრამ მსაჯის ნაადრევი ნიშნით მან სარბენი ბილიკი დატოვა და მოედანზე შევიდა, რადგან შეჯიბრება დამთავრებული ეგონა, დანარჩენი მონაწილენი კი ჯერ არ ჩანდნენ.

ცნობისმოყვარე ბავშვებმა იარუსებიდან სარბენი ბილიკები გადაკვეთეს და ჩიჟეკისაკენ გაიქცნენ. უცბად სტადიონზე შემოიჭრა რამდენიმე სპორტსმენი და მათ შორის ერთი ფინელი. მან რამდენიმე ბავშვს ოსტატურად აუარა გვერდი, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს მაინც დაეჯახა. ჰაერში აიტაცა და მიწაზე დაანარცხა. ბავშვი დაუყოვნებლივ წაიყვანეს სასწრაფო დახმარებით; შეჯიბრება კი გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩიჟეკი დაგვიანებით გამოედევნა წინ გასულ სპორტსმენებს, იგი ფინიშის ხაზზე მაინც პირველი მივიდა და ევროპის პირველობაც მოიპოვა.

ამ ფაქტის მნახველი „ქარიშხალას" სტადიონზე მეც ვიყავი, მაგრამ ბავშვის ვინაობა არ ვიცოდი. ჩეხ მეგობრებს დავპირდი, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბიჭის მდგომარეობას აუცილებლად გავიგებდი და ვაცნობებდი. პრაღიდან გამომგზავრების დღეს ბოგუმილ ლოსმა საჩუქრები გადმოგვცა იმ ბავშვისათვის გადასაცემად. დაბრუნების დღიდანვე შევუდექი ბავშვის ძებნას. იგი აღმოჩნდა გივი ლევანის-ძე ფუხაევი, მცხოვრები ჯავის ქუჩის № 27 სახლში, ამჟამად უკვე რკინიგზის ტექნიკუმის მეორე კურსის მოსწავლე. მას ლოსის საჩუქარი გადავეცით. ჩეხ მეგობრებს გივის ამბავი და მისი და ჩვენი ტურისტების სახელით გულითადი მადლობა შევუთვალეთ.

ინჟინერი ვ. ხურციძე.

საჩუქარი მოსწავლეებს

საჩხერე. (საკ. კორ.). დაბა საჩხერეში, მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე დამთავრდა საშუალო სკოლის ახალი შენობა 440 მოსწავლისათვის.

მშენებლობას აწარმოებდა ჭიათურის მარგანმშენის ტრესტი.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ლაბორატორია-კაბინეტები, სპორტული დარბაზი და სხვ.

სურათზე: საშუალო სკოლის ახალი შენობა.

კორეელი სტუმრები

რამდენიმე დღეა საქართველოში არის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კორეის კომიტეტის დელეგაცია. მას მეთაურობს ამ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ხან ფხე ენი. მის შემადგენლობაში არიან აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კორეის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ლი ცოიული და ფხენიანის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ლი ნამ ხი. კორეელი მეგობრები საქართველოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის სტუმრები არიან.

დელეგაციის წევრები ეცნობიან საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებას, მის სოფლის მეურნეობას, კულტურას. 19 აგვისტოს ისინი იყვნენ ქალაქ რუსთავში, სადაც დაათვალიერეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა.

დელეგაცია იყო აჭარის ასს რესპუბლიკაში. ისინი აქ გაეცნენ ჩაქვის ჩაისა და მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, სოფელ მახინჯაურის კოლმეურნეობის მუშაობას, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ღირსშესანიშნაობებს. დელეგაციის წევრები ესაუბრნენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს რ. მ. კომახიძეს. (საქდესი).

ბედნიერი დედა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისში მცხოვრებ დიასახლისს ნორა სიმონის ასულ მიქაუტაძეს სამი ქალი შეეძინა. ახალშობილნი ნორმალური წონისა და სიდიდის არიან და კარგად ვითარდებიან.

ახალგაზრდა ქალი ახლა ერთი ვაჟიშვილისა და სამი ქალიშვილის დედაა.

მამიკოს გამოეპარა.

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

მამაცი კაპიტანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით დაჯილდოებულია საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი. მათ შორის „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებულია ტექნიკური სამსახურის კაპიტანი ვილი იაკობის-ძე ბახიძე.

ვილი ბახიძეს კარგად იცნობენ ლენინგრადის მახლობლად მდებარე დასახლებული პუნქტების გატჩინის, კოლპინოს და სხვების მცხოვრებლები. მამაც პიროტექნიკოსს ხშირად უხდება მეორე სამამულო ომის ნაშთების — აუფეთქებელი ყუმბარებისა და ნაღმების ამოღება და გაუვნებლება. ერთხელ მან ამოიღო და მოსპო მტრის მიერ ჩამოგდებული დიდი ავიაბომბი, რომელიც ერთ-ერთი სოფლის ცენტრში აღმოაჩინეს. კაპიტანმა ბახიძემ დიდ საფრთხეში ჩააყენა თავისი სიცოცხლე — ხელით მიიტანა საშიში ტვირთი ავტომანქანასთან, თვითონ დაჯდა საჭესთან და გადაიტანა ბომბი აფეთქების ადგილას.

• • •

სურათზე: კაპიტანი ვ. ბახიძე.

რ. ერისთავის მუზეუმში

ყოველდღიურად მრავალი ექსკურსიები მოდის სოფელ ქისტაურში სახლის სანახავად, სადაც დაიბადა და ჭაბუკობის წლები გაატარა პოეტმა რ. ერისთავმა. მუზეუმმა ახლახან შეიძინა მაგიდის საათი, რომელიც პოეტს უჩუქებია თავისი ძმის სოსიკოსათვის, აგრეთვე საწერი მაგიდა ორი მასიური ბროლის სამელნით და მარმარილოს ფილით, რომელზედაც დამაგრებულია ჩანგი. ეს ნივთები ეკუთვნოდა რ. ერისთავს.

მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ჟურნალ-გაზეთებს, პოეტის ლექსების ფოტო-პირებს, 1884 წელს რაფიელ ერისთავის რედაქციის გამოცემულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, პოეტის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს ამსახველ ფოტომასალებს.

მუზეუმი ფართოვდება. ახლახან მას შეემატა ორი ოთახი. ამჟამად მიმდინარეობს მასალების შეგროვება ახალი ექსპოზიციისათვის (საქდესი).

ამბები, ფაქტები, ცნობები

იცით თქვენ ეს?

ხელოვნური წვიმა

ადამიანმა ღილაკს ხელი დააჭირა, და ორმოცგრადუსიანი სიცხით ბუღჩამდგარ ქალაქში წვიმა წამოვიდა. რა არის ეს, ფანტაზია? არა, ეს სამხრეთის ქალაქების მორწყვის ხვალინდელი დღეა.

ხელოვნური წვიმით ქალაქის მორწყვის პირველი სქემა უკვე შემუშავებულია ტაშკენტის ერთ-ერთი მასივისათვის, რომელიც ამჟამად შენდება. სტაციონალური დანადგარის მოქმედების რადიუსი თხუთმეტ მეტრს უდრის. იგი ჩართული იქნება წყალსადენში და მისი ჭავლის გამფანტველები დაიდგმება ყვავილნარებში, პარკებში, ქუჩების გაყოლებით.

11 ათასი წლის ნახატი

ჰოლანდიაში ქალაქ გრონინგენის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ქვა ადამიანის გამოსახულებით. გამორკვევის ახალმა რადიაქტიურმა მეთოდებმა და იმ გარემომ, რომელშიც ნაპოვნი იყო ნახატი, შესაძლებლობა მისცა მეცნიერებს დაედგინათ, რომ იგი გაკეთებულია 11 ათასი წლის წინათ.

ნახატი წარმოადგენს მოცეკვავე ქალიშვილს. მეცნიერები ადასტურებენ, რომ ეს ადამიანის პირველი გამოსახულებაა, რომელიც ნაპოვნი იყო ამ პერიოდის აღმოჩენებში.

თეთრი ირმები

ჩეხოსლოვაკიაში — ჟეგუშჩიცის სახელმწიფო ნაკრძალში არის მსოფლიოში ერთადერთი ჯოგი თეთრი ირმებისა—27 სული. ჩეხიაში რამდენიმე ასეთი ირემი ჩაუყვანილი იქნა ათასიოდე წლის წინათ. მსოფლიოს სხვა ნაწილებში თეთრი ირმები უკვე გადაშენდნენ.

ლენინგრადიდან ბათუმში მოტოციკლით

ლენინგრადელმა ვლადიმერ მორინმა და მისმა ცოლმა ვალენტინა ალექსის ასულმა გადაწყვიტეს მორიგი შვებულება გაეტარებინათ უჩვეულო მოგზაურობაში. მშობლიური ქალაქიდან ცოლ-ქმარი უკალათო მოტოციკლით წამოვიდნენ და გეზი აიღეს მოსკოვისაკენ, იქიდან გაემგზავრნენ ხარკოვს, სიმფეროპოლსა და ქერჩს.

ლენინგრადელმა ტურისტებმა ქერჩის სრუტე გადმოლახეს ბორნით და კავკასიაში ჩამოვიდნენ. შემდეგ მოაწყეს წარმტაცი მოგზაურობა შავი ზღვის ნაპირების გაყოლებით — იყვნენ ნოვოროსისკში, ტუაფსეში, სოჭში, სოხუმში და დასასრულ ჩავიდნენ ბათუმში. მათ გამოიარეს ოთხი ათას კილომეტრზე მეტი.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ლენინგრადელი მოგზაურები გემ „ადმირალ ნახიმოვით" იალტას წავიდნენ, ხოლო იქიდან კვლავ ლენინგრადს გაემგზავრებიან მოტოციკლით. (საქდესი)

კომუნისტი სპორტი

კალათბურთელთა დასკვნითი ტურნირი

მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შედეგების მიხედვით თბილისის „დინამოს" კალათბურთელები 4 ქულით მეოთხე ადგილზე იმყოფებიან, ხოლო „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდი მოსკოვის „დინამოსთან" ერთად აუტსაიდერად ითვლება, მას მხოლოდ 1 ქულა აქვს.

იწყება დასკვნითი ასპარეზობა, რომელმაც უნდა გამოავლინოს ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონები, ოქროს მედალოსნები. თვითეულ გუნდს ჩასატარებელი აქვს 7 მატჩი. მეორე წრის შეხვედრები დაიწყება დღეს და სექტემბრის მეორე ნახევრამდე გაგრძელდება.

კალენდარის მიხედვით თბილისელი კალათბურთელები შვიდი მატჩიდან უმრავლესობას — ხუთს თავიანთ მოედანზე გამართავენ. უკანასკნელი ორი შეხვედრა თბილისელებს ექნებათ ლენინგრადში ადგილობრივ „სპარტაკთან" და „ბურევესტნიკთან" 13 და 16 სექტემბერს.

20 აგვისტოს თბილისის დინამოელები მეორე წრის პირველ მატჩში შეხვდებიან სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონსა და ევროპის თასის მფლობელს — რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს. შემდეგ ითამაშებენ კიევის სკიფთან, კაუნასის „ჟალგირისთან", ცსკა-სთან და მოსკოვის „დინამოსთან".

ქალთა გუნდების ასპარეზობა შედგება ერთ ქალაქში — კიშინიოვში. პირველ მატჩში თბილისის „ბურევესტნიკი" ითამაშებს მოსკოვის „ტრუდთან".

საერთაშორისო მატჩი

გუშინ ავსტრიაში სტუმრად მყოფ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივმა გამართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ადგილობრივ „რაპიდთან". გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 4:0.

ტალინში ადგილობრივი „კალევისა" და ისლანდიის ჩემპიონის გუნდების მატჩი ფეხბურთში დამთავრდა „კალევის" გამარჯვებით 3:0.

სსრ კავშირის თასზე

გუშინ ტაშკენტში შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „სტარტისა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები. როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა მოეწყობა დღეს.

საბჭოთა ნაკრების გამგზავრება

გუშინ მოსკოვიდან ოსლოში მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩის გასამართავად გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მატჩი ნორვეგიისა და საბჭოთა გუნდებს შორის გაიმართება 23 აგვისტოს.

ჭადრაკი

ბათუმის ნახევარფინალი

გუშინ ბათუმში შედგა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის მეათე ტური.

ნეიმ დაამარცხა ანოხინი, არაქელოვმა — ჰალილბეილი, კალანტარმა — პრესი, უსტინოვმა — ზახარიანი, ბაგიროვმა — მოსიონჟიკი, გიპსლისმა — ბუსლაევი, გურგენიძემ — ლომაია. გრუშევსკი-როიზმანისა და კლოვან-პავლენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ათი ტურის შემდეგ წინ არიან ბაგიროვი, კლოვანი, გიპსლისი, ნეი, როიზმანი, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ. დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

დასჯილი

ერთ დღეს რედაქციაში ასე ორმოცდაათწელს მიღწეული კაცი შემოვიდა და თავაზიანად იკითხა:

— შეიძლება?..

დაჯდა. ღელავდა ან არ იცოდა, საიდან დაეწყო ან საერთოდ ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა ამბავი თუ არა...

— გაზეთში უნდა დამწეროთ... — გაუბედავად თქვა ბოლოს, — კი... ნამდვილად, უნდა დამწეროთ... სამაგალითოდ...

— ?!



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ერთხანს ასე იყო, მერე თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, დაიწყო:

— მთელი ჩემი ცხოვრება შეცდომების დაუსრულებელი ჯაჭვია, ერთმანეთზე გადაბმული და ერთმანეთისაგან გამომდინარე...

წინათ თბილისში ვცხოვრობდი. აქ მყავდა ცოლიცა და შვილიც. ლილი და მე უნივერსიტეტში ვსწავლობდით. სტუდენტობის დროს ვიქორწინეთ. ბიჭიც შეგვეძინა, აქვე, ზევით, მეორე ირიბის ქუჩაზე. აკვანი ძლივს იმართებოდა ჩვენს ოთახში, სამაგიეროდ ბედნიერად ვთვლიდი თავს, მეამაყებოდა, თბილისში უთვისტომოდ ჩამოსულ ბიჭს ოჯახი რომ მქონდა...

ლილის მშობლები, რა თქმა უნდა, ამ ქორწილის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ ვინ ათხოვა მშობლებს ყური...

სამსახური დავიწყე. ყველაფერი კარგად მიდიოდა.

სამსახურმა ფული გამიჩინა... ვის შერგებია არმად ნაშოვნი... მერე ერთი ქალი გავიცანი, რაღა ერთი... იმან ამიბნია გზა-კვალი.

მეორე ოჯახიც მალე შევქმენი... შევირთე ცოლი.

ცოტა ხნის შემდეგ რაიონში გადამიყვანეს, ამასობაში ომიც დამთავრდა, ჰო... ცოტა ხანს ჯარშიც ვიყავი... არ გასულა ორი-სამი წელი და დამაპატიმრეს. რაში მჭირდება თავის მართლება, მით უმეტეს ახლა. ძველი ამბები გამომიჩხრიკეს, დამნაშავე ვიყავი და დამაპატიმრეს. ჩემმა მეორე მეუღლემ იფიქრა, ცოცხალი ველარ დაბრუნდებაო, და მაშინვე ვიღაც ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეს გაჰყვა ცოლად.

...სასჯელის მოხდა მეორედ დაბადებას ნიშნავს, და მეც დავიბადე მეორედ, პატიოსანი შრომით დავამტკიცე, რომ არა ვარ ცუდი, გადასაგდები კაცი.

რამდენიმე წელია მარტო ვცხოვრობ, ვმუშაობ ჩემთვის პატიოსნად და ვარ... ყოველთვის ვგრძნობდი, რაც ჩავიდინე ჩემი შვილის წინაშე და ამიტომ თბილისშიც არ ჩამოვსულვარ.

ამ ბოლო დროს ავადმყოფობა მომეძალა, მხედველობაც დამაკლდა და რატომღაც შვილზე ფიქრი საოცრად ამეკვიატა. მეზობლებმა და ამხანაგებმაც მირჩიეს, წადი, ნახე, გაგეხარდება და უკან დაბრუნდიო... და მეც ჩამოვედი.

...გამოცვლილი მეჩვენა თბილისი, მთელი ქალაქი მოვიარე და არც ერთი ნაცნობი არ შემხვედრია. ერთ დროს კი... გამიჭირდა, მაგრამ მაინც დავურეკე. ლილი, ისევ იქ მუშაობს თურმე. დიახ! შემომესმა მშვიდი ხმა. მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია. შევთანხმდით, შევხვდით ერთმანეთს, მის სამსახურთან, ძველ ადგილას.

ლილის დაუსრულებლად შეუძლია შვილზე ილაპარაკოს. საცოლე ჰყავსო, სულ პატარა რომ იყო გურამი, ერთხელ ბიძას, ლილის ძმას ფანჯარასთან მიუყვანია, გურამს ეზოში მოთამაშე ბავშვები დაუნახავს, და დედისთვის უთქვამს, — რა კარგია, ბიძაჩემი მამა ეგონებათო!

ჩემთვის სიკვდილი იყო ამის მოსმენა. მაგრამ რა უნდა მექნა.

გულში ვფიქრობდი: ბარაქალა, ქალო, სულ მარტოდმარტომ გაზარდა. ეჰ.. რაც იყო, იყო, ვნახავ და წავალ, წავალ ჩემ გზაზე... რა არის ამაში ცუდი... ვფიქრობდი და მივყვებოდით ნაცნობ ქუჩას, მე და ლილი,.. ორი უცხო ადამიანი.

ლილიმ ქვემოდან ახედა ფანჯარას. — შინ არის, — თქვა და წავიდა, მე დავრჩი... ვღელავდი.

გურამი რამდენჯერმე მოადგა ფანჯრის რაფას, ეტყობოდა შინ კამათობდნენ.

ამ დროს ქუჩაზე ფანჯრის წინ გოგონა გამოჩნდა გაჩერდა, ალბათ საცოლეა, გავიფიქრე.

— გურამ!.. შესძახა გოგონამ.

შემამჩნია და შეშფოთდა.

— გურამ! — შესძახა უფრო ხმამაღლა.

— მოვდივარ! გაისმა ბიჭის ხმა ფანჯრიდან.

ისიც გამოჩნდა, ტანადი, ზორბა ბიჭი. ან მე რას გავჩერებულვარ! — ვფიქრობ. მოჰკიდებს საცოლეს ხელს და წამოვა... ჰო, მოჰკიდა კიდეც... მოჰკიდა... ჩქარი ნაბიჯით გაუყვნენ ქუჩას!

არ მოვიდა!.. არ მოვიდა!.. დამკრა საფეთქლებში, თითქოს სადღაც ზარებს ჩამოჰკრეს.

ვიდექი, მიმავალთ ვუყურებდი, ერთხელაც არ მოუხედავთ უკან.

...როცა სასჯელი მოვიხადე და გამათავისუფლეს, ცხოვრებაში დაბრუნებულად ვთვლიდი თავს. ხალხი ისევ მენდო, კაცად ვიქეცი... რა ვიცოდი, თუ კიდევ მქონდა ერთი სასჯელი, უვადო, დაუსრულებელი...

• • •

დასჯილმა სიტყვა ველარ დაამთავრა, უძრავად გაჩერდა... ღაწვზე წვიმის წვეთივით დაგორდა ცრემლი.

უხმოდ ადგა და უკან მოუხედავად გავიდა ოთახიდან. გარეთ კი წვიმდა, თითქოს განგებ, წვიმდა კოკისპირულად...

რ. დვალიშვილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

20 აგვისტო

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.15 — „უფროსების მხარდამხარ", 12.35 — მხატვრული ფილმი „რუხი მგლის ზღაპარი", 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — კინოჟურნალი, 18.25 — „კინომოყვარულები" (საკონკურსო გადაცემა), 19.35 — კინონარკვევი, 20.00 — სატელევიზიო მიმოხილვა „როცა ვისვენებთ".

უე 05631

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.